ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 30 – 31 მარტი, 2019 №75 (8029) ფასი: 60 თეთრი

## თავდაცვის სამინისტროს მანქანამ 11 წლის გოგონა მოკლა

რა მოხდა ქვიტირში 3 თვის წინ



გვ.7

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა სალალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# დავით ჭიჭინაძე: „მალე ხალხი მინისტრების მოპარვაზე გადავა“



გვ.4

## ალეკო ელისაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი წასვლისთვისაა განწირული“

„მას ჰქონდა უნიკალური შანსი, მაგრამ ყველაფერი ჩააფლავა და ჩარეცხა უნიტაზში!“



გვ.3



გვ.2

## „საქართველო ბიძინასგან და მიშასგან უნდა დავიცვათ“

„ოცნებას“ პოლიტიკური ნება რომ გამოეჩინა, გამსახურდიას მკვლელობის საქმე უკვე გამოძიებული იქნებოდა“



## გადადგა თუ არა წულუკიანი?



გვ.4

„ოცნება“ მის შემცვლელად კახა კახიშვილს და თამარ ჩუგოშვილს განიხილავს

## თაკო ჩარკვიანი: „დაიცავი საქართველოს“ უკან ბიძინა ივანიშვილი დგას“



გვ.3

„100 ქარხნის მაგივრად ტროლების ქარხანა მივიღეთ... დღეს ქვეყანა რუსული კორუფციული მართვის სტილით იმართება“



გვ.5

## დავით ლორთქიფანიძე: „ღარიბაშვილმა „ოცნების“ რევიზია უნდა მოახდინოს“

### სამართალი

გვ.7



გლდანის ციხის თანამშრომელი თ.ჩ. 2 კვირის წინ დააკავეს



თბილისში თურქეთის მოქალაქე იარაღით ვაჭრობისთვის დააკავეს



დიდ დიღომში დაჭრის ბრალდებით 20 წლის მამაკაცი დააკავეს

### ეკონომიკა

გვ.6

ზურაბ ქიაბერაშვილი: „დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესებას სიღარიბის ზრდა იწვევს“



აშშ-საქართველოს შორის შესაძლოა პირდაპირი ფრენა დაინიშნოს



„საქართველოს მთავრობამ ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა სათამაშო ინდუსტრიაზე ზედამხედველობა მოახდინოს“



ISSN 1987-9385

4 ნინო ბურჯანაძის შვილი ანზორ ბიწაძე პოლიტიკაში მიდის

5 ხდებიან თუ არა საქართველო და სერბეთი დასავლეთის ნაწილი?

6 32 მლნ-ის ინვესტიცია ქათმის ფერმაში

7 ახალციხეში მერსედესი ხეს შეეჯახა 1 ადამიანი დაიღუპა

# „საქართველო ბიძინასგან და მიშასგან უნდა დავიცვათ“

## „ოცნებას“ პოლიტიკური ნება რომ გამოეჩინა, გამსახურდიას მკვლელობის საქმე უკვე გამოძიებული იქნებოდა“

შორენა მარსაგიშვილი



### კახა მიქაია: „ივანიშვილი გონს თუ მოეგება, მას „დაიცავი საქართველოში“ რიგით წევრად მივიღებთ“

რეიტინგ და პარტიაშერყეული ბიძინა ივანიშვილი პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმით დაინტერესდა. ხელისუფლებაში მოსვლიდან მეშვიდე წელს გაიგო მან, რომ პირველი პრეზიდენტის საქმე გამოძიებული არ არის.

გამსახურდიასთან დაკავშირებით გაკეთებულმა საგანგებო განცხადებამ ბევრი კითხვა გააჩინა. საზოგადოებას აინტერესებს, რატომ მაინცდამაინც ზუგდიდის მერის ვადამდელი არჩევნების წინ გაახსენდა პარტიაშერყეულ ივანიშვილს პირველი პრეზიდენტის საქმე. რამდენიმე თვის წინ გამსახურდიას შვილებმა – ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიებმა პროკურატურასთან შიმშილობაც კი დაიწყეს. მათი აქცია კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაშინ მთავარ მეოცნებეს ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია გამსახურდიაზე.

რას უკავშირდება გამსახურდიას თემის გააქტიურება, მოხდება თუ არა პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება, რატომ უნდა დავიცვათ საქართველო ივანიშვილი-სააკაშვილის დაპირისპირებისაგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **კახა მიქაია** ესაუბრა.

***– ბიძინა ივანიშვილმა ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა. ეს პირველი პრეზიდენტის იუბილეს უკავშირდება – 31 მარტს გამსახურდიას 80 წელი შეუსრულდებოდა, თუ „ოცნების“ რეიტინგის რყევით არის გამოწვეული? ფაქტია, რომ მთავარ მეოცნებეს პირველი პრეზიდენტი აქამდე არ გახსენებია.***



– პასუხი არის ძალიან მარტივი – „ქართულ ოცნებას“ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების ნება რომ გამოეჩინა, ივანიშვილს ახლა არ მოუხდებოდა ამ განცხადების გაკეთება.

ამის მიუხედავად, მის განცხადებას პოზიტიურად ვაფასებ. ძალიან კარგია, რომ დაწერა და სიმართლე თქვა. მომავალში მაინც თუ გამოიჩენს ხელისუფლება პოლიტიკურ ნებას, პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმის გამოძიება არის ძალიან მარტივი.

თავად ეს განცხადება პოლიტიკური მოსაზრებებით გააკეთა ივანიშვილმა, რადგან მის „ოცნებას“ ძალიან უჭირს.

***– ხალხი დაიჯერებს მის სიტყვებს? ჩვენში ტრადიციად იქცა, რომ ხელისუფლებები რეიტინგის ვარდნისას და არჩევნების წინ იწყებენ გახმაურებულ მკვლელობებზე საუბარს.***

– ჩემი ძალიან დიდი სურვილია, რომ გამსახურდიას მკვლელობის საქმე გაიხსნას. ეს საქმე თუ გახსნა ივანიშვილმა, ეს იქნება ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მე ვეთანხმები „ოცნების“ ლიდერს, რომელიც ამბობს, რომ სირცხვილია, ამდენი წლის მანძილზე პირველი პრეზიდენტის და ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლოს საქმე არ იყოს გახსნილი.

შეიძლება ამ თემის გააქტიურება საარჩევნოდ ხმების მოგროვებას ისახავს მიზნად, მაგრამ მთავარია, საქმე გაიხსნას. ამით კმაყოფილები იქნებიან მისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლოს მკვლელობის საქმის გახსნა ყოველგვარ პოლიტიკურ დაპირისპირებაზე მაღლა დგას.

***– ვთქვათ, დაადგინეს, ვინ მოკლა გამსახურდია. მოხდება თუ არა მკვლელების დასჯა? ამ საქმის ბევრი ფიგურანტი ალბათ ცოცხალი აღარ არის. პირველი პრეზიდენტის მკვლელობიდან 25 წელზე მეტი გავიდა.***

– ბევრი შეიძლება მართლა აღარ არის ცოცხალი, მაგრამ სიმართლის დადგენა აუცილებელია. ჩვენ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, რა პირობებში და ვის მიერ მოხდა ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია.

„ოცნების“ ხელისუფლებამ ერთი რამ უკვე გააკეთა – თვითმკვლელობის მუხლი მკვლელობის მუხლით შეცვალა. იმედი მაქვს, რომ საქმე ბოლომდე იქნება გამოძიებული.

***– ამ საქმის გამოძიების განახლება ყურადღების გადასატანად ხომ არ მოხდება? თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამაც გადაიტანა ამ თემით ხალხის ყურადღება.***

– მიხეილ სააკაშვილმა ამ საქმის გამოძიებაც დაიწყო და გამსახურდია ეროვნულ გმირადაც გამოაცხადა. ეს მიშას მხრიდან პიარსვლა იყო. ივანიშვილის განცხადებაზე ასეთი დამოკიდებულება მაქვს – ოღონდ გამოიძიონ ეს საქმე და იყოს ეს პიარი.

***– თქვენ ამბობთ, რომ პოლიტიკური ნების შემთხვევაში საქმე მარტივად გაიხსნება. საქართველოს პრემიერი ზურაბ ჟვანია გამსახურდიაზე 12 წლით გვიან გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში, „ოცნებას“ მისი გარდაცვალების გამოძიების ნება ჰქონდა, მაგრამ სიმართლე ისევ არ ვიცით.***

– საქართველოში ძალიან ბევრი გახმაურებული მკვლელობაა გამოუძიებელი. ჩემი სურვილია, რომ ყველა ეს საქმე გაიხსნას. ამით ერთხელ და სამუდამოდ დაესმება ამ თემებზე პოლიტიკურ სპეკულაციებს წერტილი.

მე ვრჩები ჩემს აზრზე, პოლიტიკური ნება თუ იქნება, ყველა გახმაურებული მკვლელობის გამოძიებაა შესაძლებელი.

***– რეიტინგდაცემული „ოცნების“ ყოფილ მხარდამჭერებთან ერთად თქვენ გაერთიანდით „დაიცავი საქართველოში“, რომელსაც აქამდე მხოლოდ თქვენ იცავდით. საინტერესოა, როგორ აპირებთ „ოცნებაზე“ განაწყენებულები საქართველოს დაცვას?***

– ძალიან კარგია, „დაიცავი საქართველო“ რომ გააქტიურდა. ჩემი აზრით, ეს ცოტა ადრე უნდა მომხდარიყო. მაგრამ ხომ გაგიგიათ – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ახლა ამ ორგანიზაციის გააქტიურება უბრალოდ აუცილებელი იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ამოწურა თავისი რესურსი. ამ პარტიას ყავლი გაუვიდა. ბიძინა ივანიშვილის დაპირებების არავის აღარ სჯერა.

როდესაც „დაიცავი საქართველოს“ გააქტიურებაზე დავით მაღრაძემ პირველი ინფორმაცია გააჟღერა, მოძრაობის წევრებზე შეტევები დაიწყო. მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ ჩვენ ამას არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

ჩვენი პრიორიტეტი ასეთია – მოხდეს მოძრაობის გააქტიურება და დამთავრდეს ივანიშვილ-სააკაშვილის დაპირისპირებაში ჩარჩენილი საქართველო. ჩვენ ამ დაპირისპირებაში ჩარჩენილი სამშობლო არ გვჭირდება.

ჩვენ სამართლიანი, განვითარებული და ევროპული საქართველო გვჭირდება. ჩვენ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, რომელიც ევროკავშირში ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

***– ევროპული საქართველოს ხსენებისას ფრთხილად იყავით, გიგა ბოკერიას პარტიას ასე ჰქვია სწორედ. როცა ამბობთ, ევროპული საქართველო გვჭირდებაო, მათთან ალიანსიც არ დაგაბრალონ.***

– ისინი იყვნენ ფრთხილად, როცა ევროპულ ღირებულებებზე აპელირებენ. ჩვენ ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს ვიძახდით, რომ საქართველო არის ევროპული ღირებულებების მატარებელი და მან ცივილიზებული სამყაროსკენ უნდა იაროს.

საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება იყო ზვიად გამსახურდიას ოცნება. მას ამ ოცნების რეალიზების საშუალება რომ მისცემოდა, საქართველოში დღეს სულ სხვა პოლიტიკური დღის წესრიგი იქნებოდა.

***– ამბობთ, რომ საქართველო ივანიშვილ-სააკაშვილის დაპირისპირებაშია ჩარჩენილი. შეძლებთ იქიდან ქვეყნის ამოყვანას?***

– შევძლებთ თუ არა, ამას მომავალი გვაჩვენებს. საქართველოს დაცვის და ჭაობიდან ამოყვანის მცდელობა ნამდვილად გვექნება. უკვე დროა, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარება დაიწყოს. დაპირისპირებაში ჩარჩენის შემთხვევაში, საქართველო ვერ განვითარდება.

რაც შეეხება ჩვენს მოძრაობას, ყველა დიდი მოძრაობის დაწყება კომპრომისის გარეშე არის შეუძლებელი. ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოში უამრავი ადამიანი თუ პოლიტიკური ჯგუფი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ასე რომ, მარტო ბიძინას და მიშას დაპირისპირება არ არის ჩვენი პრობლემა. ამ შუღლსა და გაუტანლობაში როგორ მიდის ქვეყნის საქმეები, ძალიან კარგად ხედავთ.

თავი და თავი ჩვენი უბედურების და წარუმატებლობის ჯაჭვის დასაწყისი არის სახელმწიფო გადატრიალება. ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ რაც დღეს გვჭირს, ეს 1991-1992 წლების პუტჩიდან იღებს სათავეს. მინდა ყველამ გაითავისოს ისიც, რომ მაშინ საქართველოში არავითარი სამოქალაქო ომი არ ყოფილა.

***– აბა რა ჯანდაბა იყო ის, რაც იყო?***

– ეს იყო არა სამოქალაქო ომი, არამედ რუსეთის იმპერიის მიერ დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული ხელისუფლების დამხობას. მოვლენების ასეთი განვითარება, პირველ რიგში, მოსკოვის ინტერესებში შედიოდა. იმ ქართველებმა, ვინც დღეს პოლიტიკურ პროცესებში ვმონაწილეობთ, ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ.

***– ზემოთ თქვით, რომ კომპრომისები აუცილებელია. იმ ადამიანებთან კომპრომისი გქონდათ მხედველობაში, რომლებიც გადატრიალებაში ღებულობდნენ მონაწილეობას?***

– დამნაშავეებთან და მოღალატეებთან კომპრომისი დაუშვებელია. დამნაშავის ადგილი არის ციხეში. როცა კომპრომისზე ვსაუბრობდი, მხედველობაში დაპირისპირების დასრულება მქონდა. ეს საყოველთაო დაპირისპირება ქვეყანას ჭაობისკენ მიაქანებს და განვითარების პერსპექტივებს უკლავს.

კიდევ გავიმეორებ, რომ დღეს საქართველო ივანიშვილ-სააკაშვილის დაპირისპირებაშია ჩარჩენილი. ქვეყნის ინტერესები და მომავალი ამ ორი კაცის დავას არ უნდა შეეწიროს, არადა, ეწირება.

დროა, საქართველომ ეს ფურცელი გადაშალოს და ახალი ცხოვრება დაიწყოს. ჩვენ უნდა გავხდეთ ევროპული ტიპის სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობა იქნება. ჩვენ არც კი უნდა დავუშვათ, რომ ოდესმე რუსულ ორბიტაზე აღმოვჩნდეთ. ეს თუ ასე მოხდა, არანაირი განვითარება არ გვიწერია. რუსეთი არც არასდროს ყოფილა ჩვენი ნავსაყუდელი. ჩვენი ადგილი ნატოსა და ევროპაშია.

**ჩემი ძალიან დიდი სურვილია, რომ გამსახურდიას მკვლელობის საქმე გაიხსნას. ეს საქმე თუ გახსნა ივანიშვილმა, ეს იქნება ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მე ვეთანხმები „ოცნების“ ლიდერს, რომელიც ამბობს, რომ სირცხვილია, ამდენი წლის მანძილზე პირველი პრეზიდენტის და ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლოს საქმე არ იყოს გახსნილი.**

***– „დაიცავი საქართველოს“ გააქტიურებას ბევრი ჭორი მოჰყვა. ნაციონალები თვლიან, რომ თქვენ უკან ივანიშვილი დგას. ერთმა ახალგაზრდა ნაციონალმა თქვენს მოძრაობას „დაიცავი ბიძინა“ დაარქვა.***

– ნაციონალები რას იტყვიან და რას დაგვაბრალებენ, ეს სრულებითაც არ მაინტერესებს. რაც შეეხება ივანიშვილს, თუ ის გონს მოეგება, შეიძლება „დაიცავი საქართველოში“ გავაწევრიანოთ კიდევაც.

***– მიშა თუ მოეგო გონს, იმასაც გააწევრიანებთ?***

– ეგ გამორიცხულია. ივანიშვილს აქვს ამის შანსი, ოღონდ ამისთვის გონს უნდა მოეგოს. ხომ არავის ავიწყდება, რომ ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს დაეტაკა.



მე სრულად ვეთანხმები დათო მაღრაძეს იმაში, რომ ივანიშვილი ამ ბრძოლაში შეიძლება შემოგვიერთდეს. თუ ის გამოსწორდება, მას ჩვენს ორგანიზაციაში მივიღებთ, ოღონდ, როგორც რიგით წევრს.

***– „ოცნება“ ალბათ თავს მოიკლავს და ივანიშვილს არ დათმობს.***

– ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს „ოცნებას“ ივანიშვილი და ივანიშვილს „ოცნება“.

ასე რომ, ჩვენ არ გვაინტერესებს, რას დაგვაბრალებენ ბოტები, ვალინკები, კალოშები და რუსული ჩექმები. ჩვენ ჩვენი გზა უკვე არჩეული გვაქვს – საქართველო მიშასგან და ბიძინასგან უნდა დავიცვათ. ესაა ჩემი პასუხი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო ელისაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი წასვლისთვისაა განწირული“

## „მას ჰქონდა უნიკალური შანსი, მაგრამ ყველაფერი ჩააფლავა და ჩარეცხა უნიტაზში!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ალეკო ელისაშვილი** პასუხობს.

***– ალეკო, საზოგადოება შეშფოთებას ვერ მალავს ქვეყანაში გაზრდილი კრიმინალის გამო. რატომ იმატა ქვეყანაში კრიმინალმა, სოციალური ფონია ძალიან მძიმე თუ დაუსჯელობის სინდრომი?***

– დიახ, სოციალური ფონია ძალიან მძიმე და ამის გამოა ეს ყველაფერი. 90-იანებში ბოლომდე არ ვართ, ქუჩებში საძმოები არ დარბიან და ავტომატებს არ აკაკანებენ, როგორც მაშინ, მაგრამ ვუახლოვდებით ამ ყველაფერს. ხან ბანკებში შერბიან და აყაჩაღებენ და ხან რა და ხან რა.

ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში რომ ყველაზე წარმატებულ ბიზნესად კაზინო და ტოტალიზატორი იქნება, ეს ნორმალურია?! აქაც გაჭირვების ამბავია, ვიღაცებს ჰგონიათ, რომ 10 ლარად გახდებიან მილიონერები და მერე იქ ვალებს იკიდებენ, ზოგი თავს იკლავს და ზოგიც სხვას კლავს.

ძალიან მძიმე დღეშია ეს ქვეყანა, ძალიან მძიმეში! და, რაც მთავარია, პატრონი არ ჩანს.

***– რამდენად ადეკვატური რეაგირება აქვს ხელისუფლებას ამ ყველაფერზე, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში?***

– ადეკვატური კი არა, ზოგიერთი აბსოლუტური იდიოტია! პირდაპირ ვიტყვი, რომ ეკონომიკის მინისტრი ერთმნიშვნელოვნად იდიოტია! კაცს სახლი გაუქურდეს, გამოდის და ამბობს, ეს ჩემი პირადი ცხოვრებააო. რას ჰქვია პირადი ცხოვრება? რაც მოხდა, ამას ჰქვია კრიმინალი! ეს კაცი ვერც იმას ხვდება, პირადი ცხოვრება რას ნიშნავს და კრიმინალი რას ნიშნავს. ასეთ კაცს საერთოდ თანამდებობაზე რა უნდა, თანაც ეკონომიკის მინისტრად?!

სადაც მინისტრებს და დეპუტატებს ასე უძარცვავენ სახლებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ყველა ზღვარს გადასცდა კრიმინალის ზრდა და ეს ელემენტარული რომ არ იცის, ასეთ კაცს რა უნდა თანამდებობაზე?!



***– კრიმინალი ხდება, მაგრამ მალე იხსნებაო, აცხადებენ სამართალდამცავები.***

– იცით, ძალიან მაინტერესებს, გახსნა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მაგალითად, მეორე ტურში რომ ყრიდნენ საარჩევნო უბნებზე ვიღაც დედაკაცები ბიულეტენებს. სახეები რომ ჩანდა, საარჩევნო უბნები რომ იყო მითითებული, მერე რომ იდგნენ და თავს იწონებდნენ, რეკორდული მაჩვენებელი ჩავყარეო ბიულეტენების, რეკორდულად გავაყალბეო. ეს ადამიანები თუ დასაჯეს და ეს საქმე თუ გამოიძიეს, ძალიან მაინტერესებს.

ან რუსთაველის 12 ნომერში რომ ჰაკერების ჯგუფი ყოფილა მოკალათებული, რომელიც ქვეყნის ყველაზე გამართულ ბანკს უტევს და ამის გამოძიებას რომ თვეების განმავლობაში აჭიანურებ, ამას რა ჰქვია საერთოდ?! ეს ბანკი მარტო ხაზარაძე ხომ არ არის, არა? შეტევა რომ ხორციელდებოდა თიბისი ბანკზე, ამით პრობლემა ჰქონდა ძალიან ბევრ ადამიანს. ეს რატომ არ გამოიძიეს?! რას იძიებენ ერთი, თალაკვაძის სახლი ვინც გაქურდა, მარტო ამას იძიებენ?!

***– შერჩევითი სამართალია?***

– შერჩევითია, აბა რა არის. როგორც სააკაშვილს ჰქონდა თავის თავზე და თავის ინტერესებზე სამართალი მორგებული, ისე აქვთ ზუსტად ამათ. რა, ფარცხალაძე რაიმესთვის დასაჯეს? სარდაფში რომ ხალხს მიათრევდა, უტყაპუნებდა და ან ამხელა აუდიტორ კაცს რომ თავს დაესხა და ურტყა, ეს საქმე გამოიძიეს და დასაჯეს ფარცხალაძე?!

***– რა გამოსავალია ამ სიტუაციიდან?***

– უნდა მოვინდომოთ ყველამ, ვისთვისაც ეს ქვეყანა სულ ერთი არ არის და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ.

ახლა სერიოზული გამოწვევა იქნება შუალედური არჩევნები. აქ უნდა ვივარგოთ ყველამ და „ქართულ ოცნებას“ დავანახოთ ჩვენი ძალა. აქაც მეორე ტურივით მარტო მიშა და ბიძინა ხომ არ არის, ბევრმა შიშის გამო რომ მისცა „ოცნებას“ ხმა. ჩვენც წარვადგინეთ ჩვენი კანდიდატი, ლევან იოსელიანი და ბოლომდე ვიბრძოლებთ, არავის არაფერს დავუთმობთ. არ შეიძლება, რომ „ქართულმა ოცნება“ გაიმარჯვოს.

***– შუალედური არჩევნები გენერალური რეპეტიცია იქნება 2020-ისთვის?***

– ნამდვილად ასე იქნება. 2020 წელი უნდა იყოს წითელი ბარათი ამ ხელისუფლებისთვის.

***– დასავლეთიდან მოდის სიგნალები, რომ ივანიშვილმა უნდა გადააბაროს ხელისუფლება, რომ მის შემცვლელს ეძებენ და ასე შემდეგ. ხედავთ ამ პროცესს, რომ „ოცნება“ ხელისუფლების გადაბარებისთვის ემზადებოდეს?***

– არც ერთი ხელისუფლება წასასვლელად არ ემზადება, ჩვენ უნდა მივეშველოთ. იმედი მაქვს, რომ ეს არჩევნების ნორმალურად ჩატარების გზით მოხდება და თუ არ მოხდება, მაშინ სხვა რამისთვისაც მზად ვართ. ცხადია, ესენი ასე იოლად არ წავლენ.

***– რამდენად გამწვავდება ვითარება?***

– ეს მთლიანად მათზეა დამოკიდებული. ჭკუა თუ ეყოფათ, უნდა დათმონ ხელისუფლება, არ ეყოფათ ჭკუა და ხალხი ისეა გაღიზიანებული, ქუჩის აქციებით ჩამოვაშორებთ ხელისუფლებას.

***– ოპოზიციაც საკმაოდ ჭრელია, შეძლებს მობილიზებას 2020-თვის?***

– სხვების მაგივრად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ ერთს ვიტყვი, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე შეჯერება ალბათ მოხდება. ბევრ პარტიას ერთმანეთი გულზე არ გვეხატება, მაგრამ მაინც ვაგროვებთ ხელმოწერებს მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მოთხოვნით.

ყველა მიხვდა და შეთანხმდა, რომ თუ ეს არ გაკეთდა, ისე არაფერი გამოვა. ეს არის ქვეყნის პრობლემა, არ შეიძლება, რომ წურბელა, მაფიოზი მაჟორიტარები ესხდნენ ამ რაიონებს თავზე და თან იყვნენ კოჭის გამგორებლები ხელისუფლებისთვის. ასეთ საკითხებზე კოორდინაცია, მე ვფიქრობ, იქნება.

***– არც იმას გამორიცხავენ, რომ ხელისუფლებამ ვადამდელი არჩევნები შემოაგდოს, ამისთვის თუ ხართ მზად?***

– ვადამდელი არჩევნები ყველაზე მეტად სწორედ რომ ხელისუფლებას აწყობს. თუმცა ოპოზიციაშიც ვინც წელგამართულია, ისინიც გადაწყობას მოახერხებენ.

ზოგადად ვადამდელი არჩევნები ქვეყნისთვის კარგი იქნებოდა. თავისუფალ ვარდნაშია ეს ქვეყანა, ხალხის მოთმინება ჩადის, ჩადის და ბოლოს გაწყდება და იფეთქებს. როდესაც ასეთი სიტუაციაა, ყოველთვის ინიშნება ხოლმე ვადამდელი არჩევნები სიტუაციის განმუხტვის მიზნით, თუმცა არ ვიცი, ვნახოთ.

ჩვენ ყველანაირ სცენარზე ვფიქრობთ. ივანიშვილს ტაქტიკური გამარჯვებების მიღწევა შეუძლია მხოლოდ მოკლევადიანად. გრძელვადიანად ისიც ხვდება ალბათ, რომ მისმა მატარებელმა ჩაიარა და მას მოუწევს წასვლა. დღეს იქნება, ხვალ თუ ერთი წლის მერე, ის აუცილებლად წავა.

წავიდა ბიძინა შენი მატარებელი, უკვე ჩაიარა! მას ჰქონდა არანორმალური შანსი, რომ ეს ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა, არ ვიცი, ასეთი შანსი კიდევ ვის მიეცემა, მაგრამ ამ კაცმა ყველაფერი ჩააფლავა და ყველაფერი ჩარეცხა უნიტაზში! ის განწირულია წასვლისთვის!

# თაკო ჩარკვიანი: „დაიცავი საქართველოს“ უკან ბიძინა ივანიშვილი დგას“

## „100 ქარხნის მაგივრად ტროლების ქარხანა მივიღეთ... დღეს ქვეყანა რუსული კორუფციული მართვის სტილით იმართება“

იაგო ნაცვლიშვილი

14 აპრილს ფილარმონიაში მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ შეკრება გაიმართება. მოძრაობის ლიდერი, პოეტი დავით მაღრაძე ყველას იწვევს. მაღრაძე ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას აანონსებს. ბრძოლის მთავარი ამოსავალი წერტილი კი სასამართლო სისტემაში არსებული ვითარება იქნება.

მივა თუ არა შეკრებაზე, რას ფიქრობს მოძრაობის შესახებ და როგორ აფასებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას? – ამ და სხვა საკითხებზე პარტია „კანონი და სამართლის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

***– საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში, იქით აქცია თუ გაფიცვაა, აქეთ კრიმინოგენური ვითარება ისე დამძიმდა, რომ უკვე მაღალჩინოსნების სახლებს ქურდავენ. საით მიდის ქვეყანა?***

– რა ვქნა, მე რაც შემიძლია ვაპროტესტებ. ვერავინ იტყვის, რომ 1-2 წელია რაც ვაქტიურობ. ჯერ კიდევ 2012 წლის ივნისში გამოვაქვეყნე წერილი გაზეთ „რეზონანსში“ სათაურით „მე, ვასილ მაღლაფერიძე, გრონიკო და სამების ამშენებელი“. ჯერ მოსული არც იყო „ოცნება“. მე მისი მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ რაღაცნაირად ინტუიცია არსებობს. გრონიკო და სამების ამშენებელი განზრახ გამოვყავი, ანუ მოსალოდნელი რუსული ნარატივი. ეს იყო სადღაც ჩემი ეჭვები და ვერიდებოდი ხმამაღლა თქმას. არ მინდოდა, რომ გამართლებულიყო. ჩემი ცხოვრების ბიოგრაფიისთვის ამას აქვს მნიშვნელობა. ეს მერე კი არ იყო, როცა მოვიდნენ, არამედ სანამ მოვიდოდნენ.

***– რას უსვამთ ახლა ხაზს, პრორუსულია ხელისუფლება?***

– რაღაცა შიშები მქონდა, რომ რუსული ნარატივი სადღაც ხომ არ არის-მეთქი. მე მაშინ ჯანსუღს ვუთხარი ეს, როდესაც მკითხა, ეჭვნარევი წერილი გაქვს და რამე გაწუხებსო? იმიტომ, რომ ეს ის პერიოდია, როცა ყველანი ხელისუფლების შეცვლას ვემხრობით. ჯანსუღი ძალიან თავისუფალი ადამიანი იყო და გამორიცხული, რომ ჩარეულიყო და ეთქვა, ეს არ დაწეროო. როცა მკითხა, რამე გაწუხებსო, ვუპასუხე, რომ კი-მეთქი. მეცხრე არხი გვქონდა ჩართული და სულ ეს თემა მუსირებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაბომბა ცხინვალი. მახსოვს, ჯანსუღსაც არ მოეწონა ეს გადაცემა. მიშა სააკაშვილის სიძულვილს ქვეყანას ხომ არ გადავაყოლებთ?! დედაჩემიც ესწრებოდა ამ საუბარს და მამუკაც [ჩარკვიანი]. როდესაც ვკითხე ჯანსუღს, არ გინდა დავბეჭდო-მეთქი, მიპასუხა, რომ, როგორ გეკადრება. პირიქით, ჩვენი ოჯახის პრევენცია იქნება და ამით ჩვენს პოზიციას კარგად შეახსენებ, რომ ჩვენთვის უმთავრესი არის საქართველო.

***– გამართლდა თქვენი ეჭვი „ოცნების“ პრორუსულობასთან დაკავშირებით?***

– ეს არის რუსული კორუფციული მართვის სტილი, რაც საქართველოს მოახვიეს. მე ისიც კი აღარ ვიცი – ივანიშვილი თავისუფალია? ბოლო დროს მგონია, რომ მძევალია რუსული სივრცის, თავის ფულიანად. ეს ხდება. აქამდე ამაზე არ მისაუბრია. ახლა მომინდა თქვენთან ინტერვიუში ამ ამბის გახსენება.



ჰქონდათ პროექტი 100 ქარხანა და 100 ქარხნის მაგივრად ტროლების ქარხანა მივიღეთ. რა ნამუსით აკეთებენ ამას? ეს ხომ ბიუჯეტიდან ფინანსდება?! მხედველობაში მაქვს რუსთაველის 12. დასაქმებით ვერ ასაქმებენ ადამიანებს და ამით დაასაქმეს, რომ ერთმა ქართველმა მეორე ქართველი გალანძღოს?!

იგივე ნარკოტრაფიკის თემა. ეს მე ავხსენი და არ გამომეხმაურნენ, იმიტომ, რომ ვერ გამომეხმაურნენ. ჟურნალისტი ხართ, იცით, კლინიკა პრეპარატ მორფინს რამდენად ყიდულობს?

***– ნამდვილად არ ვიცი.***

– რატომ უნდა იცოდე, მეც არ ვიცოდი. ცენტებად ყიდულობს, 3 ცენტად ყიდულობს. აბა რა ბიზნესზეა ლაპარაკი? რა და რომ აიღებს ასეთი პატარა ქვეყანა მწარმოებლის ფურცელს, მთელი შავი სამყარო შენთან ჩარიცხავს შავ ფულს. ამას პოლიტიკოსები ეძახიან ავღანიზაციას. ომი სხვა რამისთვის კი არ დაწყებულა იმ ქვეყნებში, სადაც დაიწყეს. სადაც რუსეთმა ეს ნაღმები ჩადო და გააჩაღა. საქართველო ამას გადაიტანს?!

ამდენი წელია მიწის რეგულაციებზე ვყვირი, რაზეც ლაპარაკი იმ 9 წლიანი პერიოდის დროს დავიწყე. ახლა ჩვეულებრივი საბოტაჟია საქართველოს წინააღმდეგ. მიწები გაუქმებულია და არაინვესტირებული. წარმოიდგინეთ, რომ ინვესტორმა იყიდოს მიწა და იქ ინვესტიცია არ განახორციელოს, ამას საქართველოს გაუქმება ჰქვია. გლეხებს საძოვრები არ აქვთ, ვიღაცები მიწებს ყიდულობენ და აუქმებენ. მე როცა ამაზე დავიწყე ლაპარაკი, რა შეურაცხყოფა აღარ მივიღე, რომ თურმე კულტურის მინისტრობა მდომებია.

ახლა შევიკრიბეთ გუნდი, დღე და ღამე ვმუშაობთ და ორშაბათს შეგვაქვს კანონპროექტი ანტიკრიზისული გეგმა, პირველი პუნქტია ანტიკორუფციული კანონი. როგორც ქურდული მენტალიტეტი იყო, ისე იქნება ესეც. თუ არ გამკაცრდა ანტიკორუფციული კანონი, არაფერი ეშველება. ტენდერებში წარმოუდგენელი კორუფციაა. რა უნდა გააკეთოს თქვენმა თაობამ?! რით ვერ გაძლნენ 30 წელი?! შენ თუ ბიზნესი ბიუჯეტის ფულით გააკეთე, ეს არის ბიზნესი?! ეგეთი ფული ოჯახში რომ შემომივიდეს, 1 საათი არ მინდა სიცოცხლე.

***– როგორ წარმოგიდგენიათ პროცესები? დავით მაღრაძემ დააანონსა შეკრება 14 აპრილს. რას ელოდებით და თქვენც ხომ არ მიხვალთ შეკრებაზე?***

– არა მე არ წავალ. რას ბრძანებთ?! სასაცილოა ჩემი იქ მისვლა. მაგ ორგანიზაციას „დაიცავი საქართველოს“ დავარქვი „დაიცავი საქართველო ივანიშვილი ივანიშვილის“ წინააღმდეგ.

***– რატომ?***

– აბა როგორ? სასაცილოა.

***– თქვენი ანალიზი როგორია?***

– არაფერი. მისი ნაბოდვარია. გადარჩენა ჰგონია, მაგრამ არანაირი შედეგი არ ექნება. ქართველი არ არის უჭკუო. ჭადრაკის სასახლეში რაღაც რაოდენობა რაც შეიკრიბა, ასეთი რაღაც რაოდენობა შეიკრიბება. ეს არის ოლიგარქის თავის გადარჩენის მცდელობა. ვერ გადარჩება.

ივანიშვილს ვურჩიე, რომ თუ გგონია, რომ ამას მტერი გირჩევ, ცდები-მეთქი. ახლა ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ ღირსეულად წავიდეს. მე არ მიმაჩნია მტრად. ჩემთვის ასეთი ცნება „მტერი“ გამორიცხულია.

რა დროს ლექსია. ხალხი დავდივართ სოფელ-სოფელ. მე ხომ არ ვარ პოლიტიკიდან მოსული, ხალხიდან ვარ მოსული. როცა დავდივარ სოფელ-სოფელ, შოკში ვარ, ასეთი გაჭირვება საქართველოში არ მახსოვს. რამდენი ხანია მაგათი ხმა არ გამიგია. საქართველო კორუფციონერებისგან დასაცავია. ვისგან იცავენ?! 7 წელიწადია ყველაფერს ხელი მოაწერეს. მურუსიძეზე ხელი თვითონ არ მოაწერეს?! ახლა არიან გაბრაზებულები?!

***– დავით მაღრაძეს მგონი ამაში ვერ დავადანაშაულებთ.***

– დავით მაღრაძე იყო ბიძინა ივანიშვილის უპირველესი მომხრე. არაფერი საწყენი დათოსთვის არ არის. დათოს ოპოზიციონერობა სასაცილოა. უბრალოდ შეურაცხმყოფელია, რომ დათოს ვიღაცამ უთხრას, რომ დაიჯერო. პიროვნულად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ პოზიცია, რომ ოპოზიციონერი ვარ, სასაცილოა.

ბიძინა ივანიშვილი ხმამაღლა არ იტყვის, რომ მე მინდა რუსეთი, მაგრამ ევროპულ ინსტიტუციებს ისე დაგვაცილებს, რომ აღმოჩნდეს რუსეთის პირისპირ. იმის მაგივრად, დღე და ღამე ყვიროდნენ, რომ ინსტიტუციები გვეშლება თავზე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დავით ჭიჭინაძე: „მალე ხალხი მინისტრების მოპარვაზე გადავა“

ნათია ხურცილავა



„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო დავით, „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებისადმი დღეს თქვენი პოზიცია როგორია? პარლამენტში ყოფილ თანაგუნდელებს შორის დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს.***

— ეს პარლამენტი 2020 წლამდე რატომ უნდა იყოს?! რისი გულისთვის, რა დამსახურებისთვის?! კოლექტიურ ზარდიაშვილებს უნდა უსმინოს ხალხმა კიდევ წელიწად-ნახევარი?! რომელი მათგანია პოლიტიკოსი?! ხალხი ამათ რომ უყურებს, გული უსკდებათ. მე ვიცი დეპუტატები, რომლებაც დეპუტატის სავარძელში ყოფნის დისკომფორტი აქვთ.

***— თქვენ, სანამ „ოცნებიდან“ გაგრიცხავდნენ, სწორედ ვადამდელ არჩევნებს ითხოვდით. დღესაც იგივე მოთხოვნა გაქვთ?***

— რა თქმა უნდა! მაშინ რომ ჩატარებულიყო ვადამდელი არჩევნები, მერწმუნეთ, ეს ვითარება არ გვექნებოდა. ამ ვითარებიდან გამოსავალი სწორედ ვადამდელი არჩევნები იყო და დღესაც ეს არის.

გიორგი კვირიკაშვილი როდესაც პრემიერის პოსტიდან გაუშვეს, რომელმაც მოიგო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, მაშინ ის პარლამენტიც უნდა დაშლილიყო და ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ეს იქნებოდა სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილება. თან ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკაზე ვსაუბრობთ. ძირითადი მმართველი რგოლი სწორედ პარლამენტი უნდა იყოს. დეპუტატები, რომლებსაც მწვანე და წითელი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან, კობახიძემ ჯერ ფერებში უნდა ავარჯიშოს და შემდეგ უნდა მართონ ქვეყანა?! რა ვიცი, აბა! ამიტომ ვამბობ, რომ ვადამდელი არჩევნები აუცილებელია. ქვეყანას მართვა სჭირდება.

***— ბესელიამ ივანიშვილს მოუწოდა, თქვას, ზარდიაშვილისა და მდინარაძის რეკომენდატორი ვინ იყო 2016 წლის საპარლამენტო სიაში. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ იყო?***

— მე როგორც ვიცი, მდინარაძეს კახა კალაძემ გაუწია რეკომენდაცია. სხვათა შორის, კობახიძის რეკომენდატორიც კალაძე იყო. ეს რომ ჰკითხოთ „ოცნების“ ძველ წევრებს, ყველა დაგიდასტურებთ ამ ინფორმაციას.

***— ზარდიაშვილს?***

— ვერ გეტყვით, არ ვიცი. ისე, ზარდიაშვილი ერთი არ არის, ბევრნი არიან, შემოსევაა. ეს „ქართული ოცნების“ განგრენაა. როდესაც პოლიტიკური ლპობა იწყება, იმის გადარჩენა შეუძლებელია. ამის სახე კოლექტიური ზარდიაშვილია. გენერალური ხაზი ვერ ამართლებს.

***— კალაძეს გულისხმობთ? ამ დაპირისპირებაზე კალაძეს პოლიტიკური განცხადება არ გაუკეთებია. რატომ?***

— იმიტომ, რომ ამ ხალხმა არ გაამართლა. კალაძე ხვდება, რომ ეს ხალხი მას მომავალში არაფერში გამოადგება, ნახა, რომ წამგებიანები არიან. კალაძემ იცის იმდენი, რომ კობახიძეს არ უნდა გადაჰყვეს. ამიტომ არის ჩუმად. მაქსიმალურად ცდილობს, კობახიძე ივანიშვილს შეტენოს, ივანიშვილი დაზიანდეს და თვითონ სუფთად გამოვიდეს, მაგრამ არ გამოუვა, ყველამ ყველაფერი იცის, პირველ რიგში — ივანიშვილმა. დარწმუნებული ვარ, ამის გამო პასუხს მოსთხოვს.

***— ივანიშვილი?***

— დიახ, ივანიშვილი. ღარიბაშვილი ტყუილად არ დაუბრუნებია.

***— ღარიბაშვილი რატომ დააბრუნა, ამ ხალხის საპირწონედ?***

— რა თქმა უნდა, ამაში ეჭვი არ მეპარება და ძველ ოცნებელებთან სალაპარაკოდ, რომლებიც ამ ხალხის გამო „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნნენ. თუმცა, რამდენად გაამართლებს ეს პროექტი, მეორე საკითხია.

***— „ოცნებიდან“ წასული დეპუტატები, მათ შორის თქვენც, ივანიშვილს არ აკრიტიკებთ. რატომ?***

— როგორ არ ვაკრიტიკებ. ვამბობ, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ თქვა, რადიკალური ცვლილებები იქნებაო, ეს დაპირება მისცა ხალხს, მეც ველოდები ამ დაპირების შესრულებას. ამით ყველაფერი ნათქვამია ჩემი მხრიდან. თუ ბიძინა ივანიშვილი ამ დაპირებების შესრულებას არ დაიწყებს, ამაზე პასუხი იქნება შუალედური არჩევნები, რომელიც მაისშია.

***— რატომ, „ოცნებას“ მოგება გაუჭირდება?***

— რა თქმა უნდა, გაუჭირდება. თუ შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ იქნება, მერწმუნეთ, შემოდგომაზე ძალიან რთული ვითარება იქნება. „ქართულმა ოცნებამ“ რესურსი ამოწურა. ივანიშვილის ხედვა არ შეესაბამება იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს ქვეყანაშია.

ახლა მოდური გახდა შედარება მინისტრსა და რიგით მოქალაქეს შორის — რა განსხვავებაა, თუ რიგით მოქალაქეს ქურდავენ, ქურდავენ მინისტრსაცო, ჩვენ პრივილეგირებულები არ ვართო, ასეთია ჩვენი ხელისუფლების ლოგიკა. მე ვეტყვი მათ, რა განსხვავებაა: თუ არ არის მინისტრი დაცული, მით უფრო არ არის რიგითი მოქალაქე დაცული. ეს განსხვავებაა! ეს განცდა უჩნდება მოქალაქეს. თუ ასეთი უპასუხისმგებლოები იქნებიან, ცოტა ხანში მინისტრებს მოიპარავს ხალხი.

***— ინფორმაცია ვრცელდება სამთავრობო ცვლილებებზე. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ხვალ მინისტრის სავარძელში. მთავარია, პოლიტიკა შეიცვალოს, საქმისადმი მიდგომა შეიცვალოს. მინისტრი არის პოლიტიკოსი, აბა მითხარით, დღეს მოქმედი მინისტრებიდან რომელია პოლიტიკოსი?! ქვეყანაში პოლიტიკოსების დეფიციტია.

# გადადგა თუ არა წულუკიანი?

## „ოცნება“ მის შემცვლელად კახა კახიშვილს და თამარ ჩუგოშვილს განიხილავს

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ გუნდში მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ. სახელისუფლებო კულუარებიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, თეა წულუკიანმა თანამდებობა დატოვა, მაგრამ ეს ფაქტი ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება.

მართალია „ქართული ოცნების“ ოფიციალური პირები იუსტიციის მინისტრის გადადგომის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ პირად საუბრებში უკვე მის სავარაუდო შემცვლელებზე საუბრობენ.

ხმები თეა წულუკიანის გადადგომის შესახებ ამ თვეში უკვე მეორედ გავრცელდა. მარტის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის მთავრობიდან წავიდა.

გადადგომის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია თავად წულუკიანმაც დაადასტურა, თუმცა რამდენიმე საათში ჩვენება შეცვალა და გვაუწყა ვრჩებიო.

გავრცელებული ინფორმაციით, მან პრემიერი ბახტაძე და ბიძინა ივანიშვილი დააშანტაჟა. ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ განუცხადა.

მისივე თქმით, შანტაჟით და კომპრომატებით შეინარჩუნა პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა.

ივანიშვილი მართალია ერთხელ დამორჩილდა შანტაჟს, მაგრამ მთავარი მეოცნებე ის ჩიტი არაა, თავადაც არ ჰქონდეს საპასუხო კომპრომატები. იმ მომენტისთვის ის ზედმეტ გართულებებს მოერიდა, რადგანაც „ოცნებაში“ ისედაც მძიმე ვითარება იყო.

ახლა ეს ვითარება ისე დამძიმდა, რომ მას ვერანაირი კომპრომატი ველარ გადაფარავს. ივანიშვილსაც აღარ ეშინია კომპრომატების. ამიტომაც კვლავ აქტუალური გახდა წულუკიანის გადადგომა.



როდესაც ფაქტიურად გადამდგარმა წულუკიანმა დარჩენა გადაწყვიტა, მედიასთან საუბარში საკმაოდ ორაზროვანი განცხადებები გააკეთა. მან არ გამორიცხა, რომ თანამდებობას დატოვებდა. ამბობდა, პოსტიდან რომც წავიდეს, ის მაინც „ოცნების“ გვერდით იქნება და არსად არ წავა.

აღსანიშნავია, რომ წლების წინ ასე ეფიცებოდა ერთგულებას სააკაშვილს ლაშა ჟვანია. სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციის უფროსს, ნაციონალების დროს ეკონომიკის მინისტრის პოსტი ეკავა. როცა თანამდებობიდან წავიდა, მან განაცხადა, სოფელშიც რომ თოხნოს ყანა, ის მაინც მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერად დარჩებოდა.

განგებამ ლაშა ჟვანია სოფელში ყანის სათოხნელად არ გაიმეტა. ის საპატრიარქოში დასაქმდა, საიდანაც „ოცნების“ გუნდს დაუახლოვდა. მიშას ერთგულებას შეფიცული, ახლა სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციის უფროსია.

თეა წულუკიანი თუ გადადგა, მას საპატრიარქოში არ მოუწევს სამსახურის დაწყება. უკვე დიდი ხანია მიდის საუბარი იმაზე, რომ ის საფრანგეთში საქართველოს ელჩად დაინიშნება.

მის სავარაუდო შემცვლელად კი „ოცნებაში“ უკვე სახელდება ორი კანდიდატი. მმართველ პარტიასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრის პოსტზე აქტიურად განიხილება კახა კახიშვილის კანდიდატურა.

კახა კახიშვილი ამ ხელისუფლებაში ერთ-ერთი ნათელი წერტილია. მის მიმართ ყველა დადებითად არის განწყობილი. მის წინააღმდეგ ფაფარაშლილ ნაციონალებსაც კი არ დასცდენიათ სიტყვა. ციხეებში ადამიანური პირობების შექმნა, სწორედ კახიშვილის სახელს უკავშირდება.

თავის დროზე მას პრემიერის პოსტზეც კი განიხილავდნენ, მაგრამ როგორც კი ეს ინფორმაცია მედიაში გავრცელდა, „ოცნებაში“ არსებულმა დაჯგუფებებმა მის წინააღმდეგ დაიწყეს ფუთფუთი. ეს იმით დასრულდა, რომ კახიშვილი მინისტრის სავარძელს დაემშვიდობა.

მინისტრობიდან მისი ჩამოშორება ძალიან ოსტატურად და უმტკივნეულოდ მოხდა, სასჯელაღსრულების სამინისტრო იუსტიციის სამინისტროს შეუერთეს.

იმ შემთხვევაში, წულუკიანი თუ ნამდვილად წავა და მის ადგილს კახიშვილი დაიკავებს, ეს საზოგადოებაში კმაყოფილებას გამოიწვევს. ხალხის კეთილგანწყობა კი „ოცნებას“ ახლა ძალიან სჭირდება.

მმართველ პარტიაში წულუკიანის შემცვლელად კიდევ ერთი კანდიდატურა განიხილება. პარლამენტის ვიცე-სპიკერის გამინისტრებაზე ჯერ კიდევ 2018 წლიდან საუბრობენ. როგორც ამბობენ, მაშინ მან პარლამენტის სპიკერობაზე უარი იმიტომ თქვა, რომ მალევე უნდა დაეკავებინა იუსტიციის მინისტრის პოსტი. წულუკიანი კი ელჩად უნდა წასულიყო საფრანგეთში.

## ნინო ბურჯანაძის შვილი ანზორ ბიწაძე პოლიტიკაში მიდის

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის შვილი ანზორ ბიწაძე პოლიტიკაში მიდის. ამის შესახებ ანზორ ბიწაძემ „რადიო პალიტრის“ გადაცემაში, „შუადღის სტუდია“ განაცხადა.

ანზორ ბიწაძის თქმით, იგი დედასთან ერთად „დემოკრატიულ მოძრაობაში“ იქნება, რაშიც სრული მხარდაჭერა აქვს საბჭოს მთავარი წევრებისგან.

— პარტიის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია, რა თქმა უნდა, ვიქნები „დემოკრატიულ მოძრაობაში“. ამ თვის ბოლოს გამოცხადდება თარიღი შემდეგი ყრილობის. ძალიან საინტერესო გეგმებს, ხედვებს შევთავაზებთ ჩვენს ამომრჩევლებს. მე მივიღე სრული მხარდაჭერა საბჭოს მთავარი წევრებისგან, რადგან ეს ადამიანები არიან მოწმე იმ შრომისა, რომელიც მე მათთან ერთად გავწიე. მე მექნება ჩემი მოკრძალებული ადგილი იმ მიმართულებით, რომ ვიყო ღია კომუნიკაციაში ამომრჩეველთან. ვნახოთ, როგორ წარიმართება ეს ყველაფერი.

პირველ რიგში, რასაც მე ვაპირებ არის ის, რომ გავაგრძელო ის დაუღალავი შრომა, რომ ჩვენი პარტიული სტრუქტურები და ორგანიზაცია იყოს მაქსიმალურად დაახლოებული ხალხთან. დადგა ის დრო, როდესაც ყველამ უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია, — განაცხადა ანზორ ბიწაძემ.

# თაკო ჩარკვიანი: „დაიცავი საქართველოს“ უკან ბიძინა ივანიშვილი დგას“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მაგათ ოპოზიციონერობას გამოვრიცხავ. ეს სხვა თამაშია. არსებობს გაერთიანებული ოპოზიცია. მე არც პიროვნულად მიშლიდა იქ ყოფნას, მაგრამ ჩავთვალე საჭიროდ, რომ დამოუკიდებელი პარტია „კანონი და სამართალი“ შემექმნა. არავის გაუვა... არ არის შემოქმედი ხალხის არენაზე გამოსვლის დრო. დაწყნარდნენ ცოტა ხანი. დადგნენ და წერონ ლექსები და მოთხრობები. გაუფრთხილდნენ თავიანთ სახელებსა და გვარებს.

***— თუმცა, ხომ შეიძლება ადამიანმა შეიცვალოს პოზიცია. რაღაც მომენტში მიხვდეს ყველაფერს?***

— რა თქმა უნდა. მაგრამ 7 წლის განმავლობაში ყველაფერზე ხელი მოაწერეს უპირობოდ. ხომ სასაცილოა, თორემ ყველაფერი შესაძლებელია. ჩემთვის გადაფასება აღმოჩნდა დასავლური წყალგამყოფის ფაქტორი. ისე აეწყო, რომ მე რუსული ვექტორის პარტიებთან ვერ ვიურთიერთებ. არ შემიძლია.

***— სხვათა შორის, პრემიერმა „ფეიქ ნიუსი“ უწოდა იმ განცხადებებს, რომ საქართველო დასავლეთის დღის წესრიგიდან გასულია. ასეთი განცხადება თქვენი მხრიდანაც მოგვისმენია.***

— აბა რას იზამს. ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა გამქრალი?! ჩვენ პარტია გავაკეთეთ თუ არა შეხვედრა გვქონდა საელჩოსთან. თავის დროზე მივესალმე ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ ჩვენთან ვიზალიბერალიზაციაც კი შემოგვიბრუნდა, გადინება ხდება ჩვენი მოსახლეობის, 1 მილიონია გასული და შემოდიან მწირი ინვესტიციებით. ცოტა ხანში გავქრებით.

ისრაელთან აშშ-ს პირდაპირი სამეკავშირეო ხელშეკრულება აქვს დადებული. რომ ჩახვალ, ერთი ინგლისური წარწერა არ არის. წაართვა ებრაელობა ამერიკას?! რუსის გარდა ქართველობას სხვა ვინ გვართმევს?! 200 წელია რუსეთის გარდა არავინ არ გვტანჯავს.

შექმნილია გაერთიანებული ოპოზიცია. იმიტომ გვაქვს აჩემებული კოალიცია, რომ, როგორც ჩანს, ქართველი უფრო კონკურენტუნარიანია და უკეთესია თავისი ხალხისთვის.

***— საინტერესო ფრაზა თქვით, რომ ამ მოძრაობას დავარქვი „დაიცავი საქართველო ივანიშვილი ივანიშვილისგანო“. რას ნიშნავს ეს? მეტი კონკრეტიკა შეიტანეთ.***

— მისია ეს. ნებსით თუ უნებლიეთ, ეს ყველაფერი მისია. აღარ სჯერა ხალხს. დაასახელა მაღრაძემ გვარები, არ ჩამოვთვლი. დაწყნარდნენ, არ არის არენაზე შემოქმედი ხალხის გამოყვანის დრო.

***— ასე გგონიათ, რომ ამის უკან ივანიშვილი დგას?***

— აბა ვინ დგას?! რაზეა ლაპარაკი. თავის გადასარჩენად, მაგრამ ისიც არ იცის, რომ ვერ გადაირჩენს თავს. მისი გადარჩენა წასვლაა. სხვა ვარიანტი გამორიცხულია. ეს ჩემი კეთილი რჩევაა. ვინც ეუბნება, რომ არ წახვიდე და მილიარდები დაგვირიგეო, ის მავნებელია. ღირსეულად წავიდეს და მორჩება. ეჭვი მაქვს, რომ ვერ მიდის. რატომ ვერ მიდის, ინტერვიუს დასაწყისშივე ვისაუბრეთ. აქ უფრო რთულად არის საქმე, ეს რუსული ნარატივია, მაგრამ მაინც უნდა მოახერხოს და გაიქცეს.

# დავით ლორთქიფანიძე: „ღარიბაშვილმა „ოცნების“ რევიზია უნდა მოახდინოს“

გულიკო ბალაძე

„ახალ თაობას“ მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი **დავით ლორთქიფანიძე** ესაუბრა.

***– ბატონო დავით, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, რატომ დაერივნენ ერთმანეთს წასულები და დარჩენილები სამკვდრო-სასიცოცხლოდ, ბოლოს და ბოლოს, რას ვერ იყოფენ?***

– „ქართულ ოცნებაში“ არ არის დაპირისპირება, ისინი „ოცნებაში“ ხომ აღარ არიან. ამდენად, ძველი თანაგუნდელები სიტუაციას არკვევენ, რაც ძალიან ცუდად მოქმედებს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოზე. მათ შორის, ეს არც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის არის დადებითი სიგნალების მანიშნებელი. ასეთი დაპირისპირება იწვევს დაძაბულობას.

რაც უფრო მალე მოიხსნება დაძაბულობის მუხტი, რაც უფრო მალე გაირკვევა სიმართლე და ყველაფერს მალე დაერქმევა თავისი სახელი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის უკეთესია, რადგან საქმე ეხება მმართველ პოლიტიკურ გუნდსა და მმართველი პოლიტიკური გუნდიდან გამოყოფილ ადამიანებს შორის ქიშპობას.

***– ახლა უკვე მოქიშპეები იმ ფაზაში გადავიდნენ, რომ ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილთან დაბეზღებაში ადანაშაულებენ. თქვენ რა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით თქვათ, რა დაბეზღებაზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– რას გულისხმობთ? ეკას სიაში არ წერდნენო, რომ ამბობენ, იმას გულისხმობთ.

***– პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძეს წამოაძახეს, რომ ის ბიძინა ივანიშვილთან აბეზღებს იმ პოლიტიკოსებს, ვინც მას არ მოსწონს.***

– როდესაც პარტიულ თანამდებობაზეც არის და საკანონმდებლო ორგანოშიც მმართველ პოზიციებზე, ბუნებრივია, პარტიის ლიდერთან შეხვედრის უფრო მეტი საშუალება აქვს. როცა პარტიის გენერალური მდივანი, აღმასრულებელი მდივანი ან პოლიტიკური მდივანია, ის მეტად არის ჩართული პარტიის თავმჯდომარესთან შეხვედრებში. როცა სიტუაციის ესკალაცია ხდება და ვითარება იძაბება, ინციდენტში მონაწილე მხარეს ეს უქმნის იმის განცდას, რომ ადამიანების გარკვეული კატეგორია მის მიმართ არაკეთილსინდისიერად იქცეოდა, თორემ საშუალება ჰქონდა, ბიძინა ივანიშვილთან კომუნიკაცია უფრო ხშირად ჰქონოდა.

***– გამოჩნდა, რომ ვისაც ხშირად ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან კომუნიკაციის საშუალება, ის პოლიტიკურ გუნდში დარჩა. როგორც ჩანს, მათ, ვინც გუნდი დატოვეს, ბიძინა ივანიშვილი გარკვეულ საკითხებში ვერ დააჯერეს. იგივე სასამართლოსთან დაკავშირებით. ასე არ არის?***

– პოლიტიკა გრძელვადიანი პროცესია. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩნდება ხოლმე, ვისი პოზიცია იყო მართებული. მოკლევადიან პროცესში ასე გამოჩნდა, რომ ჩვენი თანაგუნდელები იძულებული გახდნენ, ეს ნაბიჯი თვითონ გადაედგათ. ისინი „ოცნებიდან“ არ გაურიცხავთ, თვითონ მიიღეს წასვლის გადაწყვეტილება. ეს მათი არჩევანია და ყველაფერს დრო გვაჩვენებს.

***– როდის გვაჩვენებს?***

– ეს დრო შორს არ იქნება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. დაახლოებით რამდენიმე თვეში ბევრი რამ თვალშისაცემი გახდება. საინტერესო მოვლენების განვითარებას ველოდები. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც პარტიის პოლიტიკურ მდივნად ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილი დააბრუნა.

ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა მოახდინოს პარტიის შიგნით არსებული მდგომარეობის რევიზია (კარგი გაგებით). ამას უნდა მოაყოლოს გადაწყვეტილებები, რომელიც იქნება პარტიის შიგნით არსებული პრობლემების გაჯანსაღებისაკენ მიმართული.

ირაკლი ღარიბაშვილმა პირდაპირ აღიარა, რომ წარმოუდგენელია იმ ადამიანების ბრძოლაში მიტოვება, რომლებიც 2012 წელს, თავისი სიცოცხლის რისკის ფასად, მზად იყვნენ თავი გაეწირათ. ეს არის გამოსასწორებელიო, ასე თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა. რაც იმას ნიშნავს, რადგან რაღაც გამოსასწორებელია, იქ ყველაფერი კარგად არ არის. ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში რომ დაბრუნდნენ, ე.ი. ბევრი რა არის გამოსასწორებელი და გადასახედი ფორსირებულ ტემპში. ირაკლი ღარიბაშვილს შეხვედრები აქვს. მათ შორის, ჩვენც შეგვხვდა.

***– თქვენ როგორი შეხვედრა გქონდათ?***

– პირადად ჩემთან და ჩვენს თანაგუნდელებთან ძალიან პოზიტიური და საქმიანი შეხვედრა ჰქონდა. შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა. პრობლემებზე დეტალურად ვისაუბრეთ, თუ რაში ვხედავთ პრობლემებს. ირაკლიმ გვთხოვა, გვესაუბრა, როგორ ვხედავთ ჩვენ არსებული პრობლემების მოგვარების გზებს. ჩვენი და ბატონი ირაკლის მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვა, რომ აუცილებელია მხარეებს შორის კომუნიკაციის გაღრმავება.



***– რომელ მხარეებს შორის?***

– პარტიის ლიდერებსა და პარტიის წევრებს შორის. კომუნიკაციის გაღრმავებაზეა საუბარი. მით უფრო პარტიის ცნობად სახეებს შორის იმიტომ, რომ საქართველო ცოტა განსხვავებული ქვეყანაა. ავტორიტეტის მოპოვებას გარკვეული წლები სჭირდება. ვიღაცის დავალებით ავტორიტეტი ვერ შეიქმნება. ამიტომ საჭიროა პროცესების სწორი მართვა.

***– ირაკლი ღარიბაშვილი ცდილობს სიტუაცია გამოასწოროს, მაგრამ პარლამენტის უმრავლესობის ლიდერები მუდმივად სკანდალებში ეხვევიან. რატომ არ შეუძლიათ მშვიდობიანი დაცილება? ეკა ბესელია წავიდა და კიდევ მისი ამდენი ლანძღვა რა საჭიროა?***

– ეკა ბესელიამ თავისი პოლიტიკური გზა აირჩია. ახლა არის პოლიტიკური ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა უნდა იყოს კორექტული. პოლიტკორექტულობა აუცილებელია. როდესაც წლების განმავლობაში ადამიანთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყავი, შენ იმ ადამიანის მიმართ ველარ ხარ და არც უნდა იყო დაუნდობელი და სასტიკი.

***– თვითონ ეკა ბესელია, სანამ უმრავლესობას დატოვებდა, კბილებით იცავდა „ოცნებას“. „ოცნებაზე“ ყველა შეტევის მომგერიებელი, ფაქტობრივად, ეკა ბესელია იყო. არ ვიცი, აწი რას იზამენ, ვინ ეყოლებათ ასეთი, მაგრამ იმას მაინც არ იმსახურებდა, მშვიდობიანად დასცილებოდნენ და ლანძღვა-გინება არ ყოფილიყო?***

– ზუსტად მაგას ვამბობ – ეკა იქნება თუ სხვა, ძველ თანაგუნდელებთან პოლიტკორექტული ბრძოლა უნდა იყოს. იმ გზას უნდა ვცეთ პატივი, რომელიც ჩვენ ერთად გავიარეთ. ვისაც ამის განცდა აქვს და ვინც არის თანამებრძოლი და თანაგუნდელი, ასე უნდა მოიქცეს. მერე რა? ცხოვრებაა, ზოგი ამ გზას აირჩევს, ზოგი იმ გზას.

ადამიანთან ერთად ორი ფუთი მარილი რომ გაქვს ნაჭამი, მისი გაწირვა და ტალახში თრევა რელევანტური არ არის. ამიტომ საჭიროა მეტი კორექტული დამოკიდებულება. ქალის მიმართ მეტი წინდახედულობის გამოჩენაა საჭირო.

***– როგორც ჩანს, ეკა ბესელია ძლიერ ლიდერად და ძლიერ მოწინააღმდეგედ მიაჩნიათ, მის წინააღმდეგ ბრძოლას რომ აღარ ასრულებენ.***

– არ ვიცი. თქვენ, ალბათ, მკითხავთ იმ განცხადების შესახებ, ეკა სიაში არ უნდა ჩაესვათო. ეს 2012 წლის მოწვევის პარლამენტის წევრებმა გვითხრესო. თითქოს ბიძინა ივანიშვილს ეკა არ უნდოდაო. ვფიქრობ, ესეც...

***– მოგონილია?***

– მე პოლიტიკური გუნდის წევრი ვიყავი და ვარ. უნდა გითხრათ, რომ არ მგონია ეკა ბესელიასთან დაკავშირებით, თუნდაც რამდენიმე თვის წინ, რაღაც კითხვის ნიშნები ყოფილიყო. ის იყო წარმატებული იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი. თუ რომელიმე ჩვენი კოლეგა ეუბნება ახალგაზრდებს, ეკა ბესელიას სიაში ჩასმა არ უნდოდათო, ის ადამიანი უნდა დასახელდეს ვინ არის. ის იწვევს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტის შელახვას, თუნდაც ეკა ბესელიას თვალში. ვფიქრობ, ამით ეკა ბესელიას ხომ არ უბიძგებენ, ბიძინა ივანიშვილის მიმართ იერიშზე გადავიდეს.

***– ვიღაც შეგნებულად და ძალიან ეშმაკურად ამღვრევს წყალს?***

– სამწუხაროდ, ასეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არც უმაგისობაა. ამიტომ აუცილებელია ეს პროცესი მალე დასრულდეს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. პოლიტიკური ცხოვრება მაქსიმალურად პოლიტკორექტულობის ჩარჩოებში გაგრძელდეს. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი თანაგუნდელები და ყოფილი თანაგუნდელები ამ ჩარჩოს უნდა დაექვემდებარონ. არ შეიძლება ასე გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესები ზარალდება. ეს რაც შეეხება მმართველ პოლიტიკურ ძალასთან ურთიერთობას.

***– ვის აწყობს მმართველ გუნდში არეულობა?***

– მმართველ გუნდში არეულობა აწყობს იმას, ვინც მმართველი არ არის. თუ მმართველ გუნდში რყევები დაიწყება, რომელსაც შემდეგ მოჰყვება გაგრძელება და რყევები მოიმატებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების იმ ჯგუფს აწყობს, რომლებიც ჩასაფრებულები არიან, „ოცნებაში“ იქნებ ერთმანეთს წაეკიდონ, რომ შემდეგ მათი გზა გამოჩნდეს. ჩემი აზრით, იმ ადამიანებს, რომლებიც ამაზე კბილებს ილესავენ, არაფერი გამოუვათ.

***– რატომ მიდიან „ოცნებიდან“ წასული პოლიტიკოსები ნაცმოძრაობასთან? შავგულიძის ნაციონალებთან ჩახუტებას ვგულისხმობ. არ მეგონა, კიდევ რამე თუ გამაკვირვებდა. როდესაც შავგულიძე დავინახე, უგულავასთან ერთად ტორტს ჭრიდა, განცვიფრებული დავრჩი. რატომ აღმოჩნდნენ ოცნების კოალიციის წევრები ნაცმოძრაობასთან?***

– შავგულიძე „ოცნების“ წევრი არ არის და არც არასოდეს ყოფილა. ის იყო კოალიციიდან შემოსული, თავისუფალი დემოკრატების წევრი იყო. ეს მისი არჩევანია. ჩემი პოზიცია თუ გაინტერესებს, შავგულიძეს ეს ნაბიჯი არ უნდა გადაედგა. ვიცნობ რა შალვას, ვიცი მისი განვლილი გზა, ის ნაციონალებთან არ უნდა წასულიყო.

***– შავგულიძის ამ პოლიტიკური სვლის შემდეგ, ბოკერიამ თქვა, რომ წარსული გაიაზრა და გადაიაზრა. თქვენ როგორ აფასებთ ბოკერიას წარსულის გადააზრებას?***

– მე ბოკერიას „წარსულის გადააზრებას“ თვალთმაქცობად ვაფასებ. ბოკერიას წარსულის გადააზრება გამორიცხულია. არ დაგავიწყდეთ, რომ ბოკერია იყო მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მთავარი იდეოლოგი.

მის იდეოლოგიაზე იდგა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი. ახლა თუ ბოკერიამ გადაიაზრა და სამზარეულოში თავში რაღაცები მოუვიდა, ამისთვის საჭირო იყო, გამოსულიყო (თუმცა, საკმარისი არ არის) და საჯაროდ, ქართველი ხალხის წინაშე ბოდიში მოეხადა და ეთქვა, ეს რა დავმართე ჩემს ქვეყანას, ეს არ უნდა გამეკეთებინაო და შეიძლება მისი „სინანული“ ვიღაცას დაეჯერებინა. მე პირადად არ დავიჯერებდი.

ახლა ბოკერიას საუბარი, რომ მან ყველაფერი გადაიაზრა, ჩემთვის მიუღებელი და დაუჯერებელი ამბავია. ბოკერია საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია და მისთვის ასეთი განცხადებები არანაირი უხერხულობის შემქმნელი არ არის. ჩვენ კი მართლა უნდა გადავიაზროთ.

***– ასეთი პირებისთვის 10 წლით მაინც ხომ უნდა აეკრძალათ პოლიტიკაში ყოფნა. მაშინ პოლიტიკური სპექტრი გასუფთავდებოდა, მაგრამ „ოცნებამ“ ეს არ გააკეთა. ახლა კი არის აურზაურში.***

– როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ძალიან მძიმე მოცემულობა იყო. ფაქტობრივად, კიდევ ორი წელი ნაციონალები იყვნენ პრეზიდენტის, თვითმმართველობების, ეროვნული ბანკის, სასამართლოს თავმჯდომარის დონეზე. ყველაფერი ამ ე.წ. ოპოზიციური ძალის ხელში იყო. თუმცა, შესაძლებელი იყო უფრო კარგად გამოსულიყო ყველაფერი. დღეს არსებული საქმეები ფორსირებულად უნდა იქნას გამოძიებული და ვინც დანაშაულშია გარეული, პასუხი უნდა აგოს. თუ სიმართლე არ იზეიმებს, სიმშვიდე არასოდეს იქნება.

# ხდებიან თუ არა საქართველო და სერბეთი დასავლეთის ნაწილი?

## საქართველოში სერბეთის საელჩო იხსნება

მარიამ მჭედლიშვილი

უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში სერბეთის საელჩო გაიხსნება. ამის შესახებ აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, რომელიც სერბეთში ვიზიტისას შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

ბალკანეთის ამ სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ამუშავება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და სერბეთს ერთმანეთთან აქტიური თანამშრომლობა არ ჰქონიათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1995 წელს დამყარდა.




რუსეთის გავლენა ძლიერია როგორც საქართველოში, ისე სერბეთში. საქართველოში ის უფრო დაფარულია, სერბეთში კი აშკარაა.

კრემლი ეწინააღმდეგება ნატოს გაფართოებას როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე ბალკანეთში. ბოლო დროს რუსი ექსპერტები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მოსკოვისთვის კავკასია ბალკანეთზე მნიშვნელოვანია, კრემლი მეტ-ნაკლებად ეგუება ბალკანეთის ქვეყნების ნატოში შესვლას, საქართველოს შემთხვევაში კი იგი ძალასაც მიმართავს და მისი ყოფილი ავტონომიების აღიარებასაც.

საქართველოსა და სერბეთს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პრობლემები აერთიანებთ. თბილისი და ბელგრადი ცნობენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკა სერბსკაზე, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შედის. ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბები აფხაზეთს სახელმწიფოდ აღიარებენ და მასთან თანამშრომლობის დოკუმენტებს აფორმებენ. აქ მცხოვრები სერბები დარწმუნებული არიან, რომ აფხაზეთსა და რესპუბლიკა სერბსკას თავისუფლებისთვის ბრძოლაში ერთნაირი გზა აქვთ გამოვლილი.

ირაკლი კობახიძის ვიზიტი იმ დროს დაემთხვა, როცა სერბეთში აღნიშნავენ ნატოს მხრიდან ბელგრადის დაბომბვის მეოცე წლისთავს. ამ საკითხში სერბეთის ხელისუფლება, ოპოზიცია და საზოგადოება, ფაქტობრივად, ერთიანია და გმობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ განხორციელებულ ავიადარტყმებს.

ნატოს განმარტებით, ნატოს 20 წლის წინანდელი მოქმედებები გამიზნული იყო კოსოვოელი ალბანელების ეთნიკური წმენდის შეჩერებისკენ. ამისათვის ჰააგის ტრიბუნალმა ბევრი პირი გაასამართლა.

სერბეთის ულტრანაციონალურმა პარტიამ თავისი დამოკიდებულება ამ მოვლენების მიმართ ნატოს დროშების დაწვით გამოხატა, რასაც ევროკავშირის დროშები მიაყოლა.

სერბეთის პრეზიდენტი ბოლოდროინდელი მოვლენებიდან უმნიშვნელოვანესად ასახელებს რუსეთის პრეზიდენტის მორიგ ვიზიტს ბელგრადში იანვარში. ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა შტოდან გაისმის მადლობა რუსული „გაზპრომ ნეფტის“ მიმართ, რომელიც აფინანსებს ბელგრადის წმინდა საბას სახელობის მართლმადიდებლური ტაძრის მოზაიკას. ამისათვის გამოყოფილია 6 მილიონი ევრო.

სერბეთის ხელისუფლება, საქართველოსგან განსხვავებით, გადაჭრით აცხადებს, რომ ბელგრადი ნატოში არ გაწევრიანდება. რაც შეეხება ევროკავშირს, ქვეყანა მის ნორმებსა და მითითებებს გაითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იქ შევა.

სერბეთის საგარეო პოლიტიკა ქვეყნის შიგნით არ არის ყველასთვის მისაღები. სერბი ანალიტიკოსები თავიანთ ხელისუფლებას დასავლეთისგან დისტანცირების გამო საყვედურობენ. მათი აზრით, ბელგრადს არავინ სთხოვს კომენტარს კარაკასში მიმდინარე მოვლენებზე. მიუხედავად ამისა, სერბეთი რუსეთის გულის მოსაგებად მხარდაჭერას უცხადებს ვენესუელის ე.წ. პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს, რომლის ბოლივარულმა სოციალიზმმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა და ვენესუელიდან გააქცია 3 მილიონზე მეტი ადამიანი.

ექსპერტების შეფასებით, მოსკოვისადმი მადლიერების გამო ბელგრადი ბევრ რამეს თმობს. მაგალითად, გაზპრომი გაზსა და ნავთობს მოიპოვებს მინიმალური ტარიფებით. სერბეთი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში ეწინააღმდეგება იმ რეზოლუციებს, სადაც საუბარია რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიასა და რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

ანალიტიკოსების დასკვნით, სერბეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ალფა და ომეგა კოსოვის პრობლემაა. ამ საკითხზე კრემლიდან იდეები არ ისმის. კარგი იქნება, თუ კონფლიქტი არ გამოიწვევს დეზორიენტაციას პოლიტიკაში. ამის გამო სერბეთმა არ უნდა თქვას უარი დასავლეთზე და არ გახდეს რუსული დიპლომატიის ნაწილი. პუტინის დიპლომატია, მათი აზრით, მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთად ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს „სერბულ იერუსალიმს“ კოსოვოელი სალადინისა და მისი ალბანელი მხედრებისგან იცავს.

# ირაკლი იაშვილი: „როგორც ჩანს, ბევრმა ტრანზაქციამ კითხვის ნიშანი გააჩინა“

– როგორც ჩანს, საქართველოდან განხორციელებულმა ბევრმა ტრანზაქციამ კითხვის ნიშანი გააჩინა, – ასე ეხმაურება უმსხვილესი გადამზიდავი კომპანია „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ 2018 წლის ანგარიშს, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში არალეგალური შემოსავლის ძირითადი ნაწილი საბანკო თაღლითობას, კიბერდანაშაულს, თანხების უკანონო მითვისებას უკავშირდება.

საქართველოს საბანკო ინსტიტუტები ერთი იურისდიქციიდან მეორეში თანხების გადარიცხვისთვის გამოიყენება, ხშირად ეს ყალბი დოკუმენტების ან სავაჭრო ინფორმაციის გამოყენებით ხდება. საქართველოს ბანკები არარეზიდენტი მეანაბრეებისა და ბევრი ოფშორული კომპანიის გულის მოგებას ცდილობენ.

ანგარიშის მეორე ნაწილში, რომელიც ფულის გათეთრებასა და ფინანსურ დანაშაულებს ეხება, ნათქვამია, რომ „საქართველოში არალეგალური შემოსავლის ძირითადი ნაწილი უკავშირდება საბანკო თაღლითობას, კიბერდანაშაულს, თანხების უკანონო მითვისებას“.



ირაკლი იაშვილი დანაშაულს ვერ ხედავს იმაში, რომ საქართველოს ბანკები არარეზიდენტი მეანაბრეებისა და ბევრი ოფშორული კომპანიის „გულის მოგებას“ ცდილობენ. მისი განმარტებით, ამ ლოგიკით ბანკებს უნდა აეკრძალოთ, ანგარიში არარეზიდენტს გაუხსნან, რაც არასწორია.

– ეს არის გრძელვადიანი აქტივის მოზიდვის საშუალება. თუ მოკლევადიანი ტრანზაქციაა და გამართულია საბუთებით, კონტრაქტებით და ინვოისებით, ამაში რა დანაშაულია, ამას აკეთებს მთელი მსოფლიო. თუმცა, თუ ოპერაციები ხდება ფულის გათეთრებისთვის და ეს შემდეგ დასტურდება, სულ სხვა საკითხია. ბანკებს მომკვლევი ორგანოები ჰყავთ, საერთაშორისო ორგანიზაციებიც არსებობს და პრობლემას თუ დაინახავენ, ისინი შესაბამისად იმოქმედებენ. ბანკს თუ რამეში ეჭვი შეეპარება, ვალდებულია ფაქტი სამართალდამცველ ორგანოებს შეატყობინოს. ჩემი აზრით, რადგან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ პრობლემებს ხაზი გაუსვა, საქართველოს სამართალდამცველებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ, რომ არ მოხდეს უკანონო ტრანზაქციები და რასაც შეიძლება ფულის გათეთრების კვალიფიკაცია მიეცეს, – აღნიშნავს იაშვილი.

მისი განცხადებით, ზოგადად ის ფაქტი, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოზე ამ კონტექსტში საუბრობს, ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა არსებობდა ბევრი ისეთი ტრანზაქცია, რომელმაც ეჭვის შეტანის საფუძველი გააჩინა.

– თუ გვაფრთხილებენ და ეჭვის შეტანის საფუძველი უჩნდებათ, შეიძლება სადღაც პრობლემა ნამდვილად არის. ამიტომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ამას ქვეყნის იმიჯისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ტრანზაქციები შევწყვიტოთ, – აცხადებს იაშვილი.

## ლაშა პაპაშვილი სასტუმრო „მუზას“ გახსნის თარიღს ასახელებს



სასტუმრო „მუზას“ მშენებლობა იწყება. როგორც ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი „კომერსანტთან“ განმარტავს, მერიამ პროექტზე უკვე გასცა სამშენებლო ნებართვა. მისი განმარტებით, შენობის კასკადი 2019 წლის ბოლოსთვის დასრულებული იქნება. სასტუმრო პირველ სტუმარს კი 2020 წლის შემოდგომაზე მიიღებს.

პროექტის მშენებლობას უკვე შერჩეული კომპანია ქართულ-თურქული კომპანია „სინერჯი“ განახორციელებს. საუბარია კოსტავაზე (№27), ფილარმონიის გვერდით, ყოფილი სასტუმრო „მუზას“ ტერიტორიაზე 4-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობაზე.

მისივე ინფორმაციით, სასტუმრო „მუზას“ რეკონსტრუქცია-მშენებლობასა და მოპირკეთებაზე დაახლოებით 8 მილიონი ლარი დაიხარჯება.

## 32 მლნ-ის ინვესტიცია ქათმის ფერმაში

კომპანია „ჩირინას“ დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე სოფელ სართიჭალაში ახალ ფერმას აშენებს. როგორც ბიზნესმენმა BM.GE-ის განუცხადა, ქათმების ფერმა 17 ჰა-ზე იქნება განთავსებული.



აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ერთ-ერთი საკითხი სწორედ კომპანია „ჩირინასთვის“ პირდაპირი პრივატიზების გზით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიყიდვას შეეხებოდა.

– სართიჭალაში მიწის ნაკვეთს ჩვენი ფერმის მშენებლობისთვის ვყიდულობთ. 15 ჰა უკვე შეძენილი გვაქვს, დაახლოებით, 2 ჰა არ გვყოფნიდა და გადავწყვიტეთ მისი ყიდვა, რაზეც ჩემი ინფორმაციით, მთავრობისგან თანხმობას მივიღებთ. რაც შეეხება თავად პროექტს, ეს ქათმის ფერმა იქნება, მშენებლობა უკვე მიმდინარეობს და წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, – განაცხადა ბიზნესმენმა.

რევაზ ვაშაკიძის განმარტებით, ფერმაში 32 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება და 60-მდე ადამიანი დასაქმდება.

BMG

## აშშ-საქართველოს შორის შესაძლოა პირდაპირი ფრენა დაინიშნოს

აშშ-საქართველოს შორის შესაძლოა პირდაპირი ფრენა დაინიშნოს.



საკითხი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელ, როს უილსონთან განიხილა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მარიამ ქვრივიშვილმა და როს უილსონმა ტურიზმის სფეროში მომავალი თანამშრომლობის საკითხები, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი ავიარეისების დანიშვნის პერსპექტივები და განათლების სფეროში თანამშრომლობის თემები განიხილეს.

– ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს ამერიკულ ორგანიზაციებთან, მათ შორის „იუესაიდის“ (USAID) პროგრამა „ზრდასთან“. ამერიკული მხარე კი, საქართველოს აქტიურად ეხმარება რეგიონებში ტურისტული პროექტების განვითარებისა და დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, – აღნიშნულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, აშშ-ში ფრენის დაწების სურვილი Myway airlines-ს ჰქონდა.

GBC

## „საქართველოს მთავრობამ ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა სათამაშო ინდუსტრიაზე ზედამხედველობა მოახდინოს“



საქართველოს მთავრობამ ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა სათამაშო ინდუსტრიაზე ზედამხედველობა მოახდინოს.

ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის შესახებ 2018 წლის ანგარიშში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის იანვრის წლიური ანგარიშის თანახმად, საქართველოში დარეგისტრირებულია ლატარიის და სათამაშო 416 დაწესებულება და 31 სამორინე.

– ახალი სამორინე შენდება რუსეთთან ახლოს, საზღვართან, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს ორგანიზებული დანაშაულისგან მიღებული შემოსავლის გათეთრება, – ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის ავტორები ასევე ამბობენ, რომ საქართველოში სათამაშო ინდუსტრიის ზრდა, მათ შორის ინტერნეტში, შემაშფოთებელია.

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესებას სიღარიბის ზრდა იწვევს“



– დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესების მიზეზები სიღარიბის ზრდაში უნდა ვეძიოთ, რაც ბოლო წლების ეკონომიკურ სტაგნაციას და ცხოვრების მნიშვნელოვნად გაძვირებას მოჰყვა, – ასე გამოეხმაურა ევროპული საქართველოს დეპუტატი ზურაბ ჭიაბერაშვილი საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს.

ჭიაბერაშვილის თქმით, დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესების ერთადერთი ახსნა მოსახლეობის დაბერება არაა.

– სამწუხაროდ, შობადობის მაჩვენებელი მე-5 წელია განუწყვეტლივ იკლებს. 2018 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 2017 წელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია. არადა 2017 წლის მონაცემი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო ბოლო წლების განმავლობაში. საგულისხმოა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვიც ბოლო 11 წლის მინიმუმზეა. – აცხადებს დეპუტატი.

შეგახსენებთ, რომ საქსტატის მიერ 29 მარტს გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოში შობადობა 4%-ით შემცირდა, ბუნებრივი მატება კი 15.7%-ით. აბსოლუტურ რიცხვებში ბუნებრივი მატება 4.614 იყო.

ტაბულა

## ქვეყნები შენგენის ზონაში, სადაც ქართველებს საზღვრის კვეთაზე უარს არ ეუბნებიან

გასულ თვეში საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებიდან ყველაზე ხშირად გერმანიაში მიემგზავრებოდნენ.



ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის თებერვლის სტატისტიკაშია ასახული.

კერძოდ, თებერვალში გერმანიაში საქართველოს მოქალაქეთა გასვლების რაოდენობა – 5.112 იყო. მას მოსდევს პოლონეთი, სადაც – 3.198 გამგზავრება ფიქსირდება; მე-3 ადგილზე კი – 2.994 გასვლით საბერძნეთია.

რაც შეეხება ქვეყნების ტოპ-სამეულს, სადაც თებერვალში საქართველოდან ყველაზე იშვიათად მიემგზავრებოდნენ, ასე გამოიყურება: შვეიცარია – 3 გამგზავრება; სლოვენია – 7 და ბულგარეთი – 89 გამგზავრება.

სტატისტიკა 18 ქვეყანას მოიცავს და აღსანიშნავია, რომ აქედან მხოლოდ ოთხ ქვეყანაში არ ფიქსირდება უარი საზღვრის კვეთაზე. ეს ქვეყნებია: ბელგია (გაემგზავრა – 218); რუმინეთი (გაემგზავრა – 119); შვეიცარია – (გაემგზავრა – 3) და სლოვენია (გაემგზავრა – 7).

რაც შეეხება შენგენის ზონის ქვეყნებში შესვლაზე უარის თქმის მაჩვენებლებს, ჯამში ასეთი 14 ქვეყანა იყო. ყველაზე მეტი – 37 უარი წინა თვეში საქართველოს მოქალაქეებს საფრანგეთში უთხრეს. მას მოსდევს იტალია – 34 უარით, მე-3 ადგილზე კი კვიპროსია, სადაც თებერვალში 33 უარი დაფიქსირდა.

# თავდაცვის სამინისტროს მანქანამ 11 წლის გოგონა მოკლა

## რა მოხდა ქვიტირში 3 თვის წინ



ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში თავდაცვის სამინისტროს მანქანა 11 წლის გოგონას შეეჯახა. ბავშვი გერმანიის მოქალაქე იყო და ბებიასთან საახალწლოდ 23 დეკემბერს ჩამოვიდა, მეორე დღეს კი მისი სიცოცხლე ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა.

ავარიის დროს დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბავშვი მანქანამ 30 მეტრის მოშორებით გადააგდო.

11 წლის გოგონა ადგილზე გარდაიცვალა.

ავტოკატასტროფის დროს ავტომობილს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი არჩილ ჩიხლაძე მართავდა. მომხდარიდან რამდენიმე თვის შემდეგაც მას საუბარი არ სურს. ჩიხლაძე მუშაობას თავდაცვის სამინისტროში განაგრძობს.

ლევან იზორიას უწყებამ „კურიერს" წერილობით უთხრა, რომ ჯერ პირის ბრალეულობა არ გამოკვეთილა, ამიტომ რეაგირებას გამოძიების დასრულებამდე ვერ მოახდენენ.

ავტოკატასტროფის თვითმხილველი გარდაცვლილი გოგონას დედა იყო. 11 წლის მარიამის გარდაცვალების შემდეგ მისი დედა – ლელა ჩიხლაძე, გერმანიაში დაბრუნდა.

ავტოავარია, რომელსაც 11 წლის გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა, უკვე სამი თვეა, გამოუძიებელია. პოლიციამ იცის, ვინ და რომელი ავტომობილით დაეჯახა ბავშვს, არსებობენ თვითმხილველები, სამედიცინო დასკვნა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მძღოლის ბრალეულობა ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის.

სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ქვიტირში ავტოსაგზაო შემთხვევები ხშირად ხდება.

ადგილობრივები მიზეზად გაუმართავ საგზაო ინფრასტრუქტურას ასახელებენ.

# დიდ დიღომში დაჭრის ბრალდებით 20 წლის მამაკაცი დააკავეს



დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცის დაჭრაში ეჭვმიტანილი პირი დაკავებულია.

სამართალდამცავებმა 20 წლის ახალგაზრდა აიყვანეს. მას განზრახ მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა 26 მარტს დიდ დიღომში 18 წლის ახალგაზრდა მამაკაცს სხეულზე ცივი იარაღით სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენა და მიიმალა.

სამართალდამცავების მიერ ამოღებულია ცივი იარაღი-დანა, რომელიც დანაშაულში ფიგურირებდა.

# თბილისში თურქეთის მოქალაქე იარაღით ვაჭრობისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ამერიკელ კოლეგებთან ერთად, იარაღის ნაწილებით უკანონო ვაჭრობის ტრანსნაციონალური სქემა გამოავლინა – დაკავებულია თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ მამუკა ჭელიძემ 29 მარტს ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საჰაერო ტვირთების კონტროლის უწყებათშორისი დანაყოფისა და ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლობის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილებით უკანონო ვაჭრობის ტრანსნაციონალური სქემა გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 15 მარტს აღნიშნული სქემის ერთ-ერთი მონაწილე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – ი.ი. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საბაჟო კონტროლისგან მალულად შემოტანის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველებთან ერთად, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლისგან მალულად, ცეცხლსასროლი იარაღის ნაწილების შემოტანა გადაწყვიტა.

განზრახვის განსახორციელებლად ი.ი.-მ და მისმა თანამზრახველებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადამზიდავი კომპანია შპს „საქართველოს ფოსტის" მეშვეობით, ნაცნობის სახელზე საქართველოში გამოაგზავნეს საფოსტო ამანათი, რომელშიც, დეკლარირებული საქონლის ნაცვლად, დამალული იყო ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილები.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ი.ი. თბილისში ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს.



პოლიციამ დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილების 16 კომპლექტი, მათ შორის, 7 კომპლექტი არის „გლოკი 19"-ის მოდელის პისტოლეტის, 9 კომპლექტი კი – „გლოკი 17 გან-4"-ის მოდელის პისტოლეტის ნაწილები.

თბილისში, სოხუმის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ბინიდან, სადაც დაკავებული დროებით ცხოვრობდა, ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია „გლოკის" 4 ბუდე, იარაღის ლულის საწმენდი 40 ჯაგრისი, ცეცხლსასროლი იარაღის 8 ტარი და 9 მჭიდი.

აგრეთვე დადგინდა, რომ დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, ბრალდებულს თანამზრახველებთან ერთად საქართველოში საბაჟო კონტროლისგან მალულად შემოტანილი იარაღის ნაწილების თურქეთში უკანონოდ გადატანა სურდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უცხოელ კოლეგებთან ინტენსიური თანამშრომლობით აგრძელებს ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს, აღნიშნულ დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საბაჟო კონტროლისგან მალულად შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს" – განაცხადა ჭელიძემ.

# გლდანის ციხის თანამშრომელი თ.ჩ. 2 კვირის წინ დააკავეს



„კურიერისთვის" ცნობილი ხდება, რომ დაკავებულია გლდანის ციხის თანამშრომელი. საქმე ეხება საპყრობილეში პატიმრებისთვის მობილური ტელეფონების შეტანის ფაქტს.

სპეცოპერაცია თბილისში ორი კვირის წინ ჩატარდა, თუმცა ამბავი ხელისუფლებამ დამალა.

როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აცხადებენ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მსჯავრდებულისათვის აკრძალული საგნის – მობილური ტელეფონის – გადაცემისა და პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიერ აკრძალული საგნის შენახვის ფაქტზე გამოძიება 2019 წლის 22 თებერვლიდან მიმდინარეობს.

№8 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი გ.ჩ. იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 13 მარტს დააკავა. დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე შეფარდებული აქვს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა.

უწყების ინფორმაციით, სასამართლო პროცესი 15 მარტს გაიმართა.

გარდა ამისა, „კურიერის" ინფორმაციით, გლდანის ციხის თანამშრომელს აკრძალული ნივთი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტისთვის შეჰქონდა. უკანონო ნივთის შენახვის საქმეზე ბრალი წარედგინა ე.წ. ციხის მაყურებელს, პატიმარს.

ასევე „კურიერის" ინფორმაციით, გლდანის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელს მობილური ტელეფონი პატიმართან გარკვეული თანხის სანაცვლოდ შეჰქონდა და საქმის მასალებში სწორედ ეს თანხა – 2.500 ლარი – ფიგურირებს.

იუსტიციის სამინისტრო ადასტურებს, რომ დაკავებულია გლდანის ციხის თანამშრომელი აკრძალული ნივთის დაწესებულებაში შეტანის გამო და საქმეზე გრძელდება გამოძიება.

გამოძიებამ უნდა დაადგინოს, იყვნენ თუ არა თანამშრომლის უკანონო ქმედების შესახებ საქმის კურსში გლდანის ციხის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლები.

**რუსთავი 2**

# ქარელში 2 წლის ბავშვი გარდაცვლილი იპოვეს

2 წლამდე ბავშვი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს ქარელის რაიონში.

ფაქტი სოფელ ბრეთში 29 მარტს მოხდა.

გარდაცვლილი ბავშვის ოჯახის ახლობელი ამბობს, რომ წინა დღეს მცირეწლოვანს სიცხე ჰქონდა და მას წამალი დაალევინეს. მისივე თქმით, სიცხის დაწევის შემდეგ ბავშვს ჩაეძინა, დილით კი უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

– სიცხე მისცა წუხელ, ციტრამონი დავალევინეთ ნახევარი და დაუწია იმ წუთში. მერე დავაძინეთ, მამასთან ეძინა ყოველთვის, მარტო ახლა კი არა. დილის 06:00 საათზე შემოვარდა ბიჭი და ბაბო, რაღაც ბავშვი ცივიაო, მოარბენინებდა ხელით და მოდი, აბა, ნახე, რა სჭირს, რა მოუვიდა ბავშვსო და ვნახე და კრიჭა უკვე შეკრული ჰქონდა ბავშვს.

აქ დაყავდა ხოლმე ამბულატორიაში, აცრებზე, გასინჯვაზე, თუ რამე პრობლემა იქნებოდა, მიყავდა ხოლმე. არაფერი არ სჭირდა ამ ბავშვს, ასე უცებ, არ ვიცი, – თქვა ლენა რუტინსკიმ.




პედიატრი თამარ ოქროპირიძე იხსენებს, რომ ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე, მცირეწლოვნის უფროსი ძმა ფილტვების ანთებით ქარელის ცენტრალურ საავადმყოფოში სამკურნალოდ გადაამისამართა.

– ოთხშაბათს უფროსი შვილი მომიყვანა დედამ, იმას ფილტვების ანთება დავუდგინე და გავაგზავნე საავადმყოფოში, იმიტომ, რომ ოჯახს წამლის ყიდვის საშუალება არ აქვს. ბავშვები ძალიან შეუფერებელ პირობებში იზრდებიან. გავაგზავნე, გადავურეკე პედიატრსაც, გავაკონტროლე, ბავშვი დააწვინა, ქარელის ცენტრალურ საავადმყოფოში მკურნალობდა, ფილტვების ანთება დაუდგინდა.

მეორეც წაუყვანია სასწრაფოს, ისიც ცერებრალური დამბლით არის ბავშვი, ორი დღის მერე ისიც დაწვა, – ამბობს პედიატრი.

ქარელის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი ლია გოჩაშვილი ადასტურებს, რომ ამ ოჯახიდან ორი ბავშვი გადის მკურნალობის კურსს.

– ბავშვი, რომელიც ბინაში დაიღუპა, არც ოჯახის ექიმს არ უნახავს და არც ჩვენთან, ექიმთან არ ჰყოლიათ. მე როგორც ვიცი, ბებიის გადმოცემით, არც მკურნალობა არ უტარდებოდა ბინაზე, თუმცა, იმასაც აღენიშნებოდა, ბებიის თქმით, გრიპოზული მოვლენები, – განაცხადა ლია გოჩაშვილმა.

როგორც „ნიუპოსტს" შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 116-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

აღნიშნული მუხლი თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით ითვალისწინებს.



# ახალციხეში მერსედესი ხეს შეეჯახა

## 1 ადამიანი დაიღუპა

ახალციხეში 28 მარტს, დაახლოებით 20:00 საათზე, საბარგო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ავარია მოხდა.

მერსედესის მარკის მსუბუქი ავტომანქანა ხეს შეეჯახა, მანქანაში სულ 3 პირი იჯდა. მათგან ორს ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გამოკვლევები ჩაუტარდა.

– მათი მდგომარეობა სტაბილურია, ორივე მათგანი ექიმების დაკვირვების ქვეშ იმყოფება, – აცხადებენ საავადმყოფოში.

1980 წელს დაბადებული კაცი კი ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-მ საქმეზე ძიება 276–ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# უკრაინა არჩევნების წინ

## მეორე ტური გარდაუვალია

31 მარტს უკრაინა ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

პირველად დამოუკიდებლობის 25 წლის განმავლობაში პრორუსულ კანდიდატს მეორე ტურში გასვლის შანსი არ აქვს. პოროშენკოცა და ტიმოშენკოც რუსეთის მიმართ ხისტად არიან განწყობილნი. ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მომხრეა ზელენსკიც, რომელიც დღესდღეობით ყველაზე მაღალი რეიტინგით სარგებლობს. ამავე დროს, ზელენსკი პოლიტიკის განახლებისა და იქ ახალი სახეების გამოჩენის აუცილებლობაზე საუბრობს.

ამრიგად, პირველობისათვის ბრძოლა სამ პატრიოტულად განწყობილ კანდიდატს შორის წარიმართება. ეს უდავოდ პოზიტიური მოვლენაა.

მეორე თავისებურება ის არის, რომ, რევოლუციის მიუხედავად, არჩევნებზე ოლიგარქების გავლენა შენარჩუნდა. დღეს შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ოლიგარქიული კლანი, რომელიც ხელისუფლებისათვის იბრძვის. ესენია პინჩუკის, ახმეტოვის, მედვედჩუკის, კოლომოისკის კლანები. ამავე დროს, თუ რევოლუციამდე ბევრი რამ ძირითადად ოლიგარქებს შორის შეთანხმებებით წყდებოდა, ახლა ასე აღარ არის. არჩევნებში ჩაერია ისეთი მძლავრ ფაქტორი, როგორიცაა ქუჩა.

საგანგაშოა ძალოვანი სტრუქტურების პოლიტიზაცია. შსს მხარს უჭერს ტიმოშენკოს, უშიშროება – პოროშენკოს; არმიას ჯერჯერობით თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია. ძალოვანი სტრუქტურების პოლიტიზება, პლუს ის, რომ მოსახლეობაში დიდძალი იარაღია (1 მილიონამდე უკონტროლო ცეცხლსასროლი იარაღი), დესტაბილიზაციის რეალურ საფრთხეს ქმნის.



არჩევნებამდე 2 დღით ადრე ლიდერობას კვლავ ზელენსკი ინარჩუნებს – 24%, პეტრო პოროშენკოსა და იულია ტიმოშენკოს 18-18% გააჩნიათ. ზოგიერთ გამოკვლევაში პოროშენკო ტიმოშენკოს 1%-თ უსწრებს.

მეორე ტური გარდაუვალია. როგორც ჩანს, ზელენსკი პირველ ტურში გაიმარჯვებს, მეორე ადგილისთვის კი პოროშენკოსა და ტიმოშენკოს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართება.

## დამლაგებელმა ჩვილი ბავშვი გადაარჩინა




დამლაგებელმა ჩვილი ბავშვი დაღუპვას გადაარჩინა, როდესაც ის ბავშვის ოთახიდან ჭერის ჩამოვარდნამდე რამდენიმე წამით ადრე გაიყვანა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. კადრებში თეთრ უნიფორმაში გამოწყობილი ქალი ბავშვის ოთახში შერბის, ხელში აჰყავს ჩვილი, ამ დროს კარის ზღურბლზე ჩნდება უცნობი პირი, რომელიც კარს იჭერს, რათა დამლაგებელმა ბავშვთან ერთად დაუბრკოლებლად დატოვოს ოთახი. რამდენიმე წამში ჭერი პირდაპირ ბავშვის საწოლს ეცემა.

სოციალური ქსელის მომხმარებლებს შორის გაიმართა კამათი იმის შესახებ, თუ სად მოხდა ეს ყოველივე. ნაწილმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ამის მიზეზი, სავარაუდოდ, მიწისძვრა იყო, რომელიც იმ დღეებში ფილიპინებში მოხდა. სხვების აზრით კი, შესაძლოა, ეს ინდონეზია იყო, ვინაიდან მიწისძვრა იქაც დაფიქსირდა.

## ქალმა ერთ თვეში ორჯერ იმშობიარა



ბანგლადეშში ქალმა ტყუპები თავისი პირველი ბავშვის დაბადებიდან 26 დღის შემდეგ გააჩინა.

20 წლის არიფი სულტანს პირველი შვილი თებერვლის ბოლოს ეყოლა. ექიმებმა ვერ შენიშნეს, რომ იშვიათი ანომალიის გამო ქალს მეორე საშვილოსნოც ჰქონდა, რომელშიც კიდევ ორი ნაყოფი იზრდებოდა.

თითქმის ერთი თვის შემდეგ 22 მარტს სულტანმა ისევ დაღვარა წყლები. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ საკეისრო კვეთა გაუკეთდა და ტყუპები გოგონა და ბიჭი ამოიყვანეს.

სულტანი რამდენიმე დღის შემდეგ გამოწერეს საავადმყოფოდან და ახლა უკვე სამი ბავშვის დედაა. ქალი ახლა იმაზე დარდობს, თუ როგორ გამოკვებოს ბავშვები მეუღლის დაბალი შემოსავლის გამო. თუმცა ქალის ქმარი იმედიანად არის განწყობილი. მისთვის მთავარია, რომ ბავშვები ჯანმრთელები არიან, თავად კი აცხადებს, რომ მათ მოსავლელად თავს არ დაზოგავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ვლადიმერ პუტინი ყირგიზეთში ჩავიდა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ბიშკეკში ჩავიდა. მან და ყირგიზეთის ლიდერმა ჯეენბეკოვმა საპატიო ყარაულს ჩამოუარეს. პუტინმა კვლავ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ყირგიზეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალია. ის საპატიო ყარაულს ყირგიზულად მიესალმა:

– გამარჯობა, ასკერებო!

– გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო! – იგრიალეს ჯარისკაცებმა.

ჯეენბეკოვსა და პუტინს შორის რიგ შეთანხმებას მოეწერა ხელი. რუსული გაზპრომი ყირგიზეთის გაზიფიკაციაში მიიღებს მონაწილეობას. ხელმოწერილ იქნა აგრეთვე შეთანხმება რუსეთის ტერიტორიაზე ყირგიზელი მიგრანტებისთვის შეღავათების დაწესების თაობაზე.

ყირგიზეთის პრეზიდენტმა პუტინს ბედაური და იშვიათი ყირგიზული ჯიშის ლეკვი აჩუქა.



## სტოლტენბერგი პოსტზე 2022 წლამდე დარჩება

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი პოსტზე 2022 წლამდე დარჩება.

ამის თაობაზე პირადად სტოლტენბერგმა განაცხადა.

– ეს ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა! ვეცდები, ეს გავამართლო! – თქვა სტოლტენბერგმა.

## ევროპარლამენტმა გუაიდო ვენესუელის დროებით პრეზიდენტად აღიარა

ევროპარლამენტმა ვენესუელის პარლამენტის სპიკერი და დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ხუან გუაიდო ქვეყნის დროებით პრეზიდენტად აღიარა.

– მხარს ვუჭერთ გუაიდოს მისწრაფებას გარდამავალი მთავრობის შექმნისა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ, – ნათქვამია რეზოლუციაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა", ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სანაკრებო პაუზის შემდეგ საქმეში ეროვნული ჩემპიონატები ერთვება

## სტატისტიკა, ფსონები

სანაკრებო პაუზის შემდეგ ევროპის წამყვან ჩემპიონატებში გრძელდება ეროვნული პირველობები. ამ უქმეებზე რამდენიმე საინტერესო მატჩია. ინგლისში გამოსარჩევია ლივერპული-ტოტენჰემის შეხვედრა, ესპანეთში ძველი მეტოქეების, სევილიისა და ვალენსიის ჯახია, ხოლო იტალიაში ურთიერთობას რომა-ნაპოლი და ინტერი-ლაციო გაარკვევენ.




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.03 ფულჰემი-სიტი | 17.50 | 8.60 | 1.14 |
| 30.03 ლესტერი-ბორნმუთი | 1.87 | 3.60 | 4.20 |
| 30.03 კრ.პალასი-ჰადერსფილდი | 1.49 | 3.95 | 7.80 |
| 30.03 ბარნლი-ვულვზი | 3.00 | 3.10 | 2.54 |
| 30.03 მანჩესტერი-უოტფორდი | 1.46 | 4.50 | 6.95 |
| 30.03 ბრაიტონი-საუთჰემპტონი | 2.66 | 3.00 | 2.90 |
| 30.03 ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.62 | 3.20 | 2.80 |
| 31.03 კარდიფი-ჩელსი | 7.40 | 4.30 | 1.46 |
| 31.03 ლივერპული-ტოტენჰემი | 1.65 | 3.90 | 5.30 |
| 01.04 არსენალი-ნიუკასლი | 1.40 | 4.95 | 7.50 |

**ფულჰემი-სიტი**

ფულჰემი: ტრავმ-ალფი მეისონი

სიტი: ტრავმ-ბენჯამინ მენდი, ვინსენტ კომპანი, კევინ დე ბრუინე, ფერნანდინიო

**ლესტერი-ბორნმუთი**

ლესტერი: ტრავმ-მარკ ალბრაიტონი, დანიელ ამარტეი

ბორნმუთი: ტრავმ-დან გოსლინგი, სიმონ ფრენსისი, სტივ კუკი

**კრ.პალასი-ჰადერსფილდი**

კრ.პალასი: ტრავმ-მამადუ სახო

ჰადერსფილდი: ტრავმ-ჯონათან ჰოგი, ადამა დიახაბი, ისააკ მბენზა, დანიელ უილიამსი

**ბარნლი-ვულვზი**

ბარნლი: ტრავმ-სტივ დეფო, აარონ ლენონი

ვულვზი: ტრავმ-რაიან ბენეტი

**მანჩესტერი-უოტფორდი**

მანჩესტერი: ტრავმ-ალექსის სანჩესი, ანტონიო ვალენსია

უოტფორდი: ტრავმ-არავინ

**ბრაიტონი-საუთჰემპტონი**

ბრაიტონი: ტრავმ-ფლორინ ანდონე

საუთჰემპტონი: ტრავმ-მაიკლ ობაფემი

**ვესტ ჰემი-ევერტონი**

ვესტ ჰემი: ტრავმ-ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი

ევერტონი: ტრავმ-სიმუს კოულმენი

**კარდიფი-ჩელსი**

კარდიფი: ტრავმ-ვიქტორ კამარასა, სოლ ბამბა

ჩელსი: ტრავმ-არავინ

**ლივერპული-ტოტენჰემი**

ლივერპული: ტრავმ-ჯორდან ჰენდერსონი, ჯო გომესი

ტოტენჰემი: ტრავმ-არავინ

**არსენალი-ნიუკასლი**

არსენალი: ტრავმ-ლუკას ტორეირა, ექტორ ბელერინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

ნიუკასლი: ტრავმ-ფაბიან შარი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 31 | 23 | 7 | 1 | 70-18 | 76 |
| 2.სიტი | 30 | 24 | 2 | 4 | 79-21 | 74 |
| 3.ტოტენჰემი | 30 | 20 | 1 | 9 | 57-32 | 61 |
| 4.არსენალი | 30 | 18 | 6 | 6 | 63-39 | 60 |
| 5.მანჩესტერი | 30 | 17 | 7 | 6 | 58-40 | 58 |
| 6.ჩელსი | 30 | 17 | 6 | 7 | 50-33 | 57 |
| 7.ვულვზი | 30 | 12 | 8 | 10 | 38-36 | 44 |
| 8.უოტფორდი | 30 | 12 | 7 | 11 | 42-44 | 43 |
| 9.ვესტ ჰემი | 31 | 12 | 6 | 13 | 41-46 | 42 |
| 10.ლესტერი | 31 | 12 | 5 | 14 | 40-43 | 41 |
| 11.ევერტონი | 31 | 11 | 7 | 13 | 43-42 | 40 |
| 12.ბორნმუთი | 31 | 11 | 5 | 15 | 43-56 | 38 |
| 13.ნიუკასლი | 31 | 9 | 8 | 14 | 31-40 | 35 |
| 14.კრ.პალასი | 30 | 9 | 6 | 15 | 36-41 | 33 |
| 15.ბრაიტონი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-42 | 33 |
| 16.საუთჰემპტონი | 30 | 7 | 9 | 14 | 34-50 | 30 |
| 17.ბარნლი | 31 | 8 | 6 | 17 | 35-59 | 30 |
| 18.კარდიფი | 30 | 8 | 4 | 18 | 27-57 | 28 |
| 19.ფულემი | 31 | 4 | 5 | 22 | 29-70 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 31 | 3 | 5 | 23 | 18-57 | 14 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.03 ხეტაფე-ლეგანესი | 1.96 | 3.10 | 4.70 |
| 30.03 ბარსელონა-ესპანიოლი | 1.19 | 7.50 | 14.00 |
| 30.03 სელტა-ვილიარეალი | 2.66 | 3.20 | 2.80 |
| 30.03 ალავესი-ატლეტიკო | 5.00 | 3.30 | 1.83 |
| 31.03 ლევანტე-ეიბარი | 2.70 | 3.45 | 2.58 |
| 31.03 რაიო-ბეტისი | 2.85 | 3.40 | 2.50 |
| 31.03 სევილია-ვალენსია | 2.14 | 3.40 | 3.50 |
| 31.03 ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2.60 | 3.15 | 2.74 |
| 31.03 რეალი-უესკა | 1.14 | 8.50 | 20.00 |

**ხეტაფე-ლეგანესი**

ხეტაფე: ტრავმ-ამატ ნდიაე, მარკელ ბერგარა

ლეგანესი: ტრავმ-უნაი ბუსტინცა

**ბარსელონა-ესპანიოლი**

ბარსელონა: ტრავმ-უსმან დემბელე, რაფინია

ესპანიოლი: ტრავმ-ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი, ოსკარ დუარტე, სერხიო გარსია, პაბლო პიატი

**სელტა-ვილიარეალი**

სელტა: ტრავმ-უგო მალო, იაგო ასპასი

ვილიარეალი: ტრავმ-მარიო გასპარი, მანუ ტრიგეროსი

**ალავესი-ატლეტიკო**

ალავესი: ტრავმ-პურგუი, რუბენ დუარტე

ატლეტიკო: ტრავმ-ვიტოლო, სანტიაგო არიასი, სტეფან სავიჩი, ფელიპე ლუისი, ლუკას ერნანდესი

**ლევანტე-ეიბარი**

ლევანტე: ტრავმ-ჩეიკ დაკური

ეიბარი: ტრავმ-არავინ



**რაიო-ბეტისი**

რაიო: ტრავმ-გორკა ელუსტონდო

ბეტისი: ტრავმ-ფრანსისი, ჯუნიორ ფირპო

**სევილია-ვალენსია**

სევილია: ტრავმ-სერხიო ესკუდერო, ნოლიტო

ვალენსია: ტრავმ-ეზეკიელ გარაი

**ვალიადოლიდი-სოსიედადი**

ვალიადოლიდი: ტრავმ-ბორხა, ტონი ვილა

სოსიედადი: ტრავმ-იგორ ზუბელდია, ვილიამ ხოსე, დიეგო ლორენტე, ასიერ ილიარამენდი, ანდონი გოროსაბელი

**რეალი-უესკა**

რეალი: ტრავმ-კაზემირო, დანი კარვახალი, ვინიციუსი, ლუკასი, მარკოს ლიორენტე

უესკა: ტრავმ-კარლოს აკაპო, დამიან მუსტო, პაბლო ინსუა, გონსალო მელერო, ლუიზინიო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 20 | 6 | 2 | 73-27 | 66 |
| 2.ატლეტიკო | 28 | 16 | 8 | 4 | 39-19 | 56 |
| 3.რეალი | 28 | 17 | 3 | 8 | 49-32 | 54 |
| 4.ხეტაფე | 28 | 12 | 10 | 6 | 36-24 | 46 |
| 5.ალავესი | 28 | 12 | 8 | 8 | 31-31 | 44 |
| 6.სევილია | 28 | 12 | 7 | 9 | 47-36 | 43 |
| 7.ვალენსია | 28 | 8 | 16 | 4 | 30-23 | 40 |
| 8.ბეტისი | 28 | 11 | 6 | 11 | 32-36 | 39 |
| 9.ბილბაო | 28 | 8 | 13 | 7 | 28-31 | 37 |
| 10.სოსიედადი | 28 | 9 | 9 | 10 | 33-33 | 36 |
| 11.ეიბარი | 28 | 8 | 11 | 9 | 36-38 | 35 |
| 12.ხირონა | 28 | 8 | 10 | 10 | 31-37 | 34 |
| 13.ესპანიოლი | 28 | 9 | 7 | 12 | 32-41 | 34 |
| 14.ლეგანესი | 28 | 8 | 9 | 11 | 27-34 | 33 |
| 15.ლევანტე | 28 | 8 | 7 | 13 | 38-49 | 31 |
| 16.ვალიადოლიდი | 28 | 7 | 8 | 13 | 23-39 | 29 |
| 17.ვილიარეალი | 28 | 6 | 11 | 11 | 32-36 | 29 |
| 18.სელტა | 28 | 6 | 7 | 15 | 36-47 | 25 |
| 19.რაიო | 28 | 6 | 5 | 17 | 30-51 | 23 |
| 20.უესკა | 28 | 5 | 7 | 16 | 28-47 | 22 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.03 ფორტუნა-გლადბახი | 3.00 | 3.35 | 2.42 |
| 30.03 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.54 | 4.30 | 6.00 |
| 30.03 ვერდერი-მაინცი | 1.66 | 4.00 | 5.20 |
| 30.03 ნიურნბერგი-აუგსბურგი | 2.85 | 3.25 | 2.58 |
| 30.03 ფრაიბურგი-ბაიერნი | 11.50 | 5.80 | 1.27 |
| 30.03 ლაიფციგი-ჰერტა | 1.51 | 4.30 | 6.50 |
| 31.03 ჰანოვერი-შალკე | 4.30 | 3.65 | 1.86 |
| 31.03 აინტრახტი-შტუტგარტი | 1.48 | 4.80 | 6.20 |

**ფორტუნა-გლადბახი**

ფორტუნა: ტრავმ-იან ციმერი, მარვინ დაკში

გლადბახი: ტრავმ-ლუის ბაიერი, მატიას გინტერი, იბრაჰიმა ტრაორე

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი**

დორტმუნდი: ტრავმ-აქსელ ვიტცელი, მაქსიმილიან ფილიპი, ლუკაშ პიშჩეკი

ვოლფსბურგი: ტრავმ-დანიელ გინსეკი, იგნასიო კამაჩო

**ვერდერი-მაინცი**

ვერდერი: ტრავმ-მილოშ ველიკოვიჩი, სებასტიან ლანგკამპი

მაინცი: ტრავმ-ისაა აბასი, გერიტ ჰოლტმანი, აჰმეთ გურლეიენი

**ნიურნბერგი-აუგსბურგი**

ნიურნბერგი: ტრავმ-ენრიკო ვალენტინი, ტიმ ლეიბოლდი, ონდრეი პეტრაკი, ადამ ზრელაკი, მატეუს პერეირა, კევინ გოდენი

აუგსბურგი: ტრავმ-ჟულიან შიბერი, რაფაელ ფრამბერგერი

**ფრაიბურგი-ბაიერნი**

ფრაიბურგი: ტრავმ-ლუკას კუბლერი, პილიპ ლენჰარტი, მანუელ გულდე, ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ სალაი

ბაიერნი: ტრავმ-არიენ რობენი, კორენტინ ტოლისო

**ლაიფციგი-ჰერტა**

ლაიფციგი: ტრავმ-დიეგო დემე, დაიო უპამეკანო

ჰერტა: ტრავმ-დერიკ ლუკასენი

**ჰანოვერი-შალკე**

ჰანოვერი: ტრავმ-ბობი ვუდი, მატიას ოსტრზოლეკი, ნიკლას ფულკრუგი, ილჯას ბებუ

შალკე: ტრავმ-დანიელ კალიგიური, ალესანდრო შოპფი

**აინტრახტი-შტუტგარტი**

აინტრახტი: ტრავმ-დავიდ აბრაჰამი, ლუკას ტორო, მარკ სტენდერა, ბრანიმირ ჰრგოტა

შტუტგარტი: ტრავმ-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 19 | 3 | 4 | 68-27 | 60 |
| 2.დორტმუნდი | 26 | 18 | 6 | 2 | 64-30 | 60 |
| 3.ლაიფციგი | 26 | 14 | 7 | 5 | 44-20 | 49 |
| 4.გლადბახი | 26 | 14 | 5 | 7 | 45-31 | 47 |
| 5.აინტრახტი | 26 | 13 | 7 | 6 | 51-30 | 46 |
| 6.ლევერკუზენი | 26 | 13 | 3 | 10 | 47-40 | 42 |
| 7.ვოლფსბურგი | 26 | 12 | 6 | 8 | 44-39 | 42 |
| 8.ვერდერი | 26 | 10 | 9 | 7 | 46-38 | 39 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 26 | 9 | 11 | 6 | 50-38 | 38 |
| 10.ჰერტა | 26 | 9 | 8 | 9 | 40-39 | 35 |
| 11.ფრაიბურგი | 26 | 7 | 10 | 9 | 37-42 | 31 |
| 12.ფორტუნა | 26 | 9 | 4 | 13 | 33-50 | 31 |
| 13.მაინცი | 26 | 8 | 6 | 12 | 27-45 | 30 |
| 14.აუგსბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 37-47 | 25 |
| 15.შალკე | 26 | 6 | 5 | 15 | 27-44 | 23 |
| 16.შტუტგარტი | 26 | 5 | 5 | 16 | 26-56 | 20 |
| 17.ჰანოვერი | 26 | 3 | 5 | 18 | 24-61 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 26 | 2 | 7 | 17 | 19-52 | 13 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.03 უდინეზე-ჯენოა | 2.62 | 3.00 | 3.05 |
| 30.03 იუვენტუსი-ემპოლი | 1.30 | 5.60 | 10.00 |
| 30.03 სამპდორია-მილანი | 3.10 | 3.15 | 2.48 |
| 31.03 პარმა-ატალანტა | 5.60 | 4.10 | 1.60 |
| 31.03 ფიორენტინა-ტორინო | 2.18 | 3.20 | 3.60 |
| 31.03 ფროზინონე-სპალი | 2.78 | 3.05 | 2.66 |
| 31.03 რომა-ნაპოლი | 3.05 | 3.40 | 2.36 |
| 31.03 ბოლონია-სასუოლო | 2.14 | 3.30 | 3.55 |
| 31.03 ინტერი-ლაციო | 2.28 | 3.30 | 3.25 |

**უდინეზე-ჯენოა**

უდინეზე: ტრავმ-ნიკოლას ოპოკუ, ლუკაშ თეოდორჩუკი, მარკო დალესანდრო, ვალონ ბეჰრამი, ანტონინ ბარაკი, სამირი

ჯენოა: ტრავმ-ლუკა მაზიტელი, ანდრეა ფავილი, ოსკარ ჰილემარკი

**იუვენტუსი-ემპოლი**

იუვენტუსი: ტრავმ-ანდრეა ბარძალი, მატია დე შილიო, დამი ხედირა, დუგლას კოსტა, ხუან კუადრადო

ემპოლი: ტრავმ-ლევან მჭედლიძე, ანტონიო ლა გუმინა, ლუკა ანტონელი

**სამპდორია-მილანი**

სამპდორია: ტრავმ-ჯაკოპო სალა, რიკარდო საპონარა, ედგარ ბარეტო, ჯანლუკა კაპრარი

მილანი: ტრავმ-ჯაკომო ბონავენტურა

**პარმა-ატალანტა**

პარმა: ტრავმ-მატეო სკოზარელა, ფრანსისკო სიერალტა, ლეო სტულაჩი, ალბერტო გრასი

ატალანტა: ტრავმ-რაფაელ ტოლოი

**ფიორენტინა-ტორინო**

ფიორენტინა: ტრავმ-ჯორდან ვერეტო, ედიმილსონ ფერნანდესი, მარკო პიაცა, დუშან ვლაჰოვიჩი

ტორინო: ტრავმ-არავინ

**ფროზინონე-სპალი**

ფროზინონე: ტრავმ-პაოლო ჩინიოლე

სპალი: ტრავმ-

**რომა-ნაპოლი**

რომა: ტრავმ-ხავიერ პასტორე, ალესანდრო ფლორენცი, კოსტას მანოლასი, დანიელე დე როსი, ლორენცო პელეგრინი, ჩენგიზ უნდერი

ნაპოლი: ტრავმ-ლორენცო ინსინიე, ამადუ დიავარა, რაულ ალბიოლი

**ბოლონია-სასუოლო**

ბოლონია: ტრავმ-ჯანკარლო გონსალესი, ფედერიკო სანტანდერი

სასუოლო: ტრავმ-ენრიკო ბრინიოლა, ფრანჩესკო მანანელი, მეჰდი ბურაბია, მარლონი

**ინტერი-ლაციო**

ინტერი: ტრავმ-რაჯა ნაინგოლანი, მაურო იკარდი, სიმე ვრსალკო

ლაციო: ტრავმ-ჩირო იმობილე, ვალონ ბერიშა, ჯორდან ლუკაკუ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 24 | 3 | 1 | 59-19 | 75 |
| 2.ნაპოლი | 28 | 18 | 6 | 4 | 52-23 | 60 |
| 3.ინტერი | 28 | 16 | 5 | 7 | 43-24 | 53 |
| 4.მილანი | 28 | 14 | 9 | 5 | 43-26 | 51 |
| 5.რომა | 28 | 13 | 8 | 7 | 52-39 | 47 |
| 6.ატალანტა | 28 | 13 | 6 | 9 | 57-39 | 45 |
| 7.ლაციო | 27 | 13 | 6 | 8 | 41-29 | 45 |
| 8.ტორინო | 28 | 11 | 11 | 6 | 37-26 | 44 |
| 9.სამპდორია | 28 | 12 | 6 | 10 | 49-38 | 42 |
| 10.ფიორენტინა | 28 | 8 | 13 | 7 | 43-35 | 37 |
| 11.ჯენოა | 28 | 8 | 9 | 11 | 34-42 | 33 |
| 12.პარმა | 28 | 9 | 6 | 13 | 30-44 | 33 |
| 13.სასუოლო | 28 | 7 | 11 | 10 | 39-47 | 32 |
| 14.კალიარი | 28 | 7 | 9 | 12 | 25-40 | 30 |
| 15.სპალი | 28 | 6 | 8 | 14 | 25-42 | 26 |
| 16.უდინეზე | 27 | 6 | 7 | 14 | 24-40 | 25 |
| 17.ემპოლი | 28 | 6 | 7 | 15 | 36-54 | 25 |
| 18.ბოლონია | 28 | 5 | 9 | 14 | 25-42 | 24 |
| 19.ფროზინონე | 28 | 3 | 8 | 17 | 21-53 | 17 |
| 20.კიევო | 28 | 1 | 11 | 16 | 21-54 | 11 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.03 მარსელი-ანჟე | 1.58 | 3.85 | 6.50 |
| 31.03 დიჟონი-ნიცა | 2.60 | 3.00 | 3.00 |
| 31.03 მონაკო-კაენი | 1.37 | 5.20 | 8.00 |
| 31.03 ამიენი-ბორდო | 2.62 | 3.00 | 2.90 |
| 31.03 ნანტი-ლილი | 2.90 | 3.05 | 2.65 |
| 31.03 ტულუზა-პსჟ | 8.50 | 5.80 | 1.32 |
| 01.04 სტ.ეტიენი-ნიმი | 1.75 | 3.85 | 4.55 |

**მარსელი-ანჟე**

მარსელი: ტრავმ-არავინ

ანჟე: ტრავმ-მატეო პავლოვიჩი, ვილფრედ კანგა

**დიჟონი-ნიცა**

დიჟონი: ტრავმ-მაიკლ ალფონსე, ვალენტინ როსიე

ნიცა: ტრავმ-მიშელ ლე ბაიანი, კრისტოფერ ჟალე, იგნატიუს განაგო

**მონაკო-კაენი**

მონაკო: ტრავმ-რადამელ ფალკაო, ვილემ გუბელსი, პიეტრო პელეგრი

კაენი: ტრავმ-კაზიმირ ნინგა

**ამიენი-ბორდო**

ამიენი: ტრავმ-სტივენ მენდოზა, ქვენტინ კორნეტე, ბონგანი ზუნგუ

ბორდო: ტრავმ-აურელიენ ტოუამენი

**ნანტი-ლილი**

ნანტი: ტრავმ-არავინ

ლილი: ტრავმ-ჟერემი პიდი

**ტულუზა-პსჟ**

ტულუზა: ტრავმ-სტივენ მორეირა, აარონ ლეია ისაკა, იანიკ კაუზაკი, ჰაკიმ ელ მოკედემი

პსჟ: ტრავმ-ჟულიან დრაქსლერი, სტანლი ნსოკი, ადრიენ რაბიო, ნეიმარი, ლასანა დიარა

**სტ.ეტიენი-ნიმი**

სტ.ეტიენი: ტრავმ-ვაჰბი ხაზრი, მეტიუ დებუში, ლიოკ პერინი, ლიოს დიონი, გაბრიელ სილვა, იანის სალიბური

ნიმი: ტრავმ-მუსტაფა დიალო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 25 | 2 | 1 | 86-16 | 77 |
| 2.ლილი | 29 | 17 | 6 | 6 | 45-24 | 57 |
| 3.ლიონი | 29 | 15 | 8 | 6 | 50-35 | 53 |
| 4.მარსელი | 29 | 14 | 5 | 10 | 45-38 | 47 |
| 5.სტიეტიენი | 29 | 13 | 7 | 9 | 41-34 | 46 |
| 6.რეიმსი | 29 | 11 | 13 | 5 | 31-27 | 46 |
| 7.მონპელიე | 29 | 10 | 12 | 7 | 40-34 | 42 |
| 8.რენი | 28 | 11 | 8 | 9 | 39-36 | 41 |
| 9.ნიცა | 29 | 11 | 8 | 10 | 21-29 | 41 |
| 10.სტრასბური | 29 | 9 | 12 | 8 | 45-35 | 39 |
| 11.ნიმი | 28 | 10 | 7 | 11 | 40-42 | 37 |
| 12.ანჟე | 29 | 8 | 12 | 9 | 33-33 | 36 |
| 13.ბორდო | 29 | 8 | 10 | 11 | 28-31 | 34 |
| 14.ტულუზა | 29 | 7 | 11 | 11 | 28-43 | 32 |
| 15.ნანტი | 28 | 8 | 7 | 13 | 31-35 | 31 |
| 16.მონაკო | 29 | 7 | 9 | 13 | 30-44 | 30 |
| 17.ამიენი | 29 | 8 | 5 | 16 | 24-43 | 29 |
| 18.გენგამი | 29 | 5 | 7 | 17 | 19-51 | 22 |
| 19.დიჟონი | 29 | 5 | 6 | 18 | 21-46 | 21 |
| 20.კაენი | 29 | 3 | 11 | 15 | 23-44 | 20 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## ავსტრალიელმა, რომელიც 30 წელი ერთსა და იმავე ნომრებს ათამაშებდა, ჯეკპოტი მოხსნა



ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრებმა შემთხვევით ორი ერთნაირი ლატარიის ბილეთი შეავსო და ორმაგი ჯეკპოტი მოხსნა.

მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, აღიარა, რომ უკვე 30 წელია, ლატარიას ერთი და იმავე ნომრებით თამაშობს. მან ორი ბილეთი სხვადასხვა ადგილას შეიძინა და დარწმუნებული იყო, რომ მეორე ბილეთი სხვა ლატარიის გათამაშების იყო.

მისმა ორმაგმა მოგებამ 46 მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა.

– სიტყვები არ მყოფნის, ეს ვერაფრით დამიჯერებია, – განაცხადა ლატარიის გათამაშების ორგანიზატორების წინაშე გაოგნებულმა მამაკაცმა. მისი თქმით, ის ბილეთებს ყოველ კვირა ყიდულობდა, თუმცა აქამდე ერთხელაც არ გამართლებია.

როგორც კი ავსტრალიელმა მოგების შესახებ შეიტყო, სამსახური მიატოვა. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას. სავარაუდოდ, თანხის ნაწილით სახლს იყიდის და სამოგზაუროდ წავა.

## მამაკაცი თავისი ფულის დამბრუნებელს შვილის ოპერაციას დაუფინანსებს




ჩინეთში მამაკაცმა, რომელსაც ფული შვილის სამკურნალოდ სჭირდებოდა, ფულით სავსე საფულე იპოვა და პატრონს დაუბრუნა, მან კი მადლიერების ნიშნად მთელი თავისი თალგამის მოსავალი გაყიდა და მამაკაცს შვილის ოპერაციას დაუფინანსებს.

ტან შაოლუნმა თავისი ორი წლის შვილი შანდუნის პროვინციის ქალაქ ცზინანის სამედიცინო ცენტრში გემოფაგოციტანური სინდრომის სამკურნალოდ ჩაიყვანა. მამაკაცმა ექიმებს უკვე გადაუხადა 200 ათასი იუანი, რომელიც ნათესავებისგან ისესხა. ბავშვს ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია სჭირდებოდა და მამას შეეძლო, დონორი გამხდარიყო, მაგრამ ოპერაციისთვის 400 ათასი იუანი აკლდებოდა.

საავადმყოფოდან ბავშვისთვის საჭმლის საყიდლად გამოსულმა ტანმა გზაში იპოვა საფულე, რომელშიც 20 ათასი იუანი ნაღდი ფული, მანქანის მართვის მოწმობა და ბანკის ბარათები იდო.

– გულახდილად ვიტყვი, როდესაც ფული დავინახე, გამიხარდა, გავიფიქრე, რომ ღმერთმა გამომიგზავნა, – აღიარა მამაკაცმა, თუმცა ცდუნებას არ აჰყვა და გადაწყვიტა, ნაპოვნი პატრონისთვის დაებრუნებინა. მან იფიქრა, რომ რადგან საფულე საავადმყოფოს მახლობლად იპოვა, შესაძლოა, მის პატრონსაც ეს ფული მკურნალობისთვის სჭირდებოდა.

საფულის პატრონი ფერმერი დინ ილუნი აღმოჩნდა. მან ტანს მადლობის ნიშნად თანხა შესთავაზა, მაგრამ მან ფულზე უარი უთხრა. როდესაც ფერმერმა გაიგო, რომ მას ბავშვის მკურნალობისთვის ფული სჭირდებოდა, გადაწყვიტა, სხვა გზა აერჩია. მან ტანს აუხსნა, რომ საწყობში 200 ტონამდე თალგამი ეწყო, რომელიც მაისამდე უნდა გაეყიდა და შესთავაზა, მისი მყიდველი ერთად მოეძებნათ.

მათ ოთხ დღეში მოახერხეს მთელი მოსავლის გაყიდვა, რაშიც 500 ათასი იუანი გადაუხადეს. ახლა უკვე ტანი და მისი შვილი ოპერაციისთვის ემზადებიან.

## ექვსი წლის ბიჭმა ფანჯრიდან გადავარდნილი ბავშვი გადაარჩინა



პოლონეთში ექვსი წლის ბიჭმა ფანჯრიდან გადამხტარი ბავშვის გადარჩენა შეძლო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი სილეზიის ოლქის ქალაქ ჩეხოვიცე-ძეძიცეში მოხდა. სკოლის მოსწავლე, სახელად მაჩიკი, მეგობართან ერთად ეზოში თამაშობდა, როდესაც შენიშნა, რომ ფანჯრის რაფაზე სამი წლის კორდიანი იყო ამძვრალი.

– ის შეხტა და მე დავიჭირე, – გაიხსენა მაჩიკმა. ბავშვი დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და ბიჭმა მისი დაჭერა ისე მოახერხა, რომ არც კორდიანი და არც თვითონ არ დაშავებულან. ამის შემდეგ გადარჩენილმა ბავშვმა მათ უთხრა, რომ მინდორში უნდოდა და გაიქცა, თუმცა მაჩიკმა და მისმა მეგობარმა ის დაიჭირეს და დედას მიუყვანეს. ქალმა კორდიანის მშობლების ბინის კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ უპასუხა, რის შემდეგაც პოლიციაში დარეკა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ბინის კარი შეამტვრიეს და იქ უგონოდ მთვრალი ბავშვის დედა და პაპა დახვდათ. ქალი დააპატიმრეს. მას ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება ბავშვის უპატრონოდ დატოვებისა და მისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებისთვის.

კორდიანზე ზრუნვა მისმა დეიდამ იკისრა.

## ორმეტრიანი ნიანგი სახლში შეძვრა და საწოლის ქვეშ დაიმალა



ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ ანანდის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრების სახლში ნიანგი შეძვრა და მისი მძინარე პატრონის საწოლის ქვეშ დაიმალა.

30 წლის ფერმერ ბაბუბხაი პარმარს ეძინა ტახტზე, რომელსაც მწერებისგან დამცავი ბადე ჰქონდა ჩამოფარებული. ღამის ორის ნახევარზე ის უპატრონო ძაღლების ყეფამ გააღვიძა და ბოლომდე არ იყო ძილ-ბურანიდან გამოსული, როდესაც შენიშნა, რომ ტახტის ქვევიდან რაღაც ცხოველი მისჩერებოდა. გაირკვა, რომ საწოლის ქვეშ ნიანგი იყო გაყუჩებული. სავარაუდოდ, ის იქ 500 მეტრის დაშორებით მდებარე ტბიდან მივიდა.

პარმარმა მოახერხა, სახლიდან უვნებლად გამოეღწია და საშველად მეზობლებს უხმო.

– ეს იყო მაკედ მყოფი 2,4 სიგრძის ნიანგი, – განაცხადა სოფლის ხელმძღვანელმა დურგეშ პატელმა, – ვინაიდან ახლა ნიანგებს შეწყვილების პერიოდი აქვთ, ის, როგორც ჩანს, კვერცხების დასადებად ადგილს ეძებდა.

ერთ საათში სოფელში მეტყევეები მივიდნენ და მიიტანეს გალია. მათ ნიანგის დაჭერასა და გალიაში მოთავსებაში ფონდ დაუას მოხალისეებიც დაეხმარნენ. შემდეგ ცხოველი სოფლიდან უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს და გაუშვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 30 მარტისთვის

**ვერძი** – ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ. ალკოჰოლსა და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **კურო** – ეცადეთ, ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – პლანეტები გმფარველობენ. იზრუნეთ ზნეობრიობაზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – პირად ცხოვრებაში ერიდეთ დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ლომი** – ემოციები აკონტროლეთ, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. სხვის საქმეებში ნუ ჩაერევით. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა, რომელიც თქვენგან დიდ სიბრძნესა და მოქნილობას მოითხოვს. სასიყვარულო ავანტიურებში ჩართვას არ გირჩევთ. **სასწორი** – ეცადეთ, ყოველგვარი გაურკვევლობა საჩქაროდ აღმოფხვრათ. წარსულის შეცდომებს ნუ გაიმეორებთ. **ღრიანკალი** – აქტიური დღეა. ბევრი საქმე გაქვთ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. **მშვილდოსანი** – სიტუაციის თქვენ სასარგებლოდ შემობრუნებას მოახერხებთ. უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თხის რქა** – რთული დღეა. წარმატება უშუალო კავშირშია საქმისადმი გონივრულ და მშვიდ მიდგომასთან. **მერწყული** – არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. ჭორებს ნუ აჰყვებით. **თევზები** – შექმნილი სიტუაციის მიხედვით სათანადო დასკვნები გააკეთეთ და ეცადეთ, შეცდომები საჩქაროდ გამოასწოროთ.

### 31 მარტისთვის

**ვერძი** – თქვენს დიპლომატიასა და გამჭრიახობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ. **კურო** – თამამად გარისკეთ. წარმატებული და იღბლიანი დღეა. ენას კბილი დააჭირეთ. **ტყუპები** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ხელგეწიფებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** – თუ რამე ჩაიფიქრეთ, უთუოდ შეასრულეთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. ახლობლებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და მოეფერეთ. **ლომი** – უფრო მოკრძალებული და თავდაჭერილი უნდა იყოთ. გახსოვდეთ, რომ ფშუტე თავთავი თავს მაღლა სწევს, მძიმე თავთავი კი თავდახრილია. **ქალწული** – ნუ დაგავიწყდებათ მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მძიმე წუთებში თანადგომა გაგიწიეს. საკუთარ პრინციპებს ნუ ულალატებთ. **სასწორი** – ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. რისკის არ შეგეშინდეთ. **ღრიანკალი** – იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. პროფესიული საქმიანობა დიდ ენერგიას დაგახარჯვინებთ. **მშვილდოსანი** – პლანეტები გმფარველობენ. განსაკუთრებით წარმატებულია დღის პირველი ნახევარი. **თხის რქა** – გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, კარიერაში. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **მერწყული** – ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. სხვის პრობლემებს გულგრილად ნუ მოეკიდებით. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გარშემომყოფებს. **თევზები** – დაძაბული სამუშაო დღეა, თუმცა მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის წყალობით ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გარეული მტრედი; 2. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 3. ბრინჯაოს ქართული სახელწოდება; 5. ლუდის გამონახარში, დანალექი; 6. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალი“-ს ფეხბურთელი; 8. კომბინაცია პოკერში; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 15. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 19. ჩრდილოეთის ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე.

**თარაზულად:** 1. მყარი საწვავი ნივთიერება; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 9. პირადი კომპიუტერი; 10. „სამი მუშკეტერი“-ს პერსონაჟი; 12. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 16. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. ქალაქი ფინეთში; 21. პურეული მცენარე; 22. მოხდენილად, ლამაზად ჩამცმელი მამაკაცის სახელწოდება ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოხი; 2. ხომლი; 3. ანისი; 4. ფლავი; 5. ესკიზი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. კლეპტომანი; 11. ვაშლოვანი; 14. გრემიო; 15. ბურახი; 16. ქლესა.

**თარაზულად:** 1. კრახუნა; 4. ფლემინგი; 7. ხაშმი; 9. ცირკი; 12. ჩიტაია; 13. აგორა; 14. გრანდი; 17. ცაცხვი; 18. პლანიმეტრია; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იუბილე; 2. შამოტი; 3. ლაიკა; 5. აული; 6. ლუხუნი; 8. მთიელი; 11. ალგოლოგია; 13. მაესტრო; 14. თაკვერი; 15. კონუნგი; 19. ხოკუ.

**თარაზულად:** 1. ივანიშვილი; 4. ბაჯაღლო; 7. ბუდიზმი; 9. კნეთელი; 10. იალტა; 12. ანეროიდი; 16. კიმიგაიო; 17. კეპლერი; 18. კვაწარახი; 20. იომიური; 21. დოხა; 22. თეთნულდი.

## თეთრკანიან ქალს 70 წელი თავი შავკანიანი ეგონა




ხანდაზმულმა ამერიკელმა ქალბატონმა, რომელიც თავს შავკანიანად მიიჩნევდა, აღმოაჩინა, რომ თეთრკანიანი მშობლები ჰყავდა. მან ამის თაობაზე საკუთარ ავტობიოგრაფიაში დაწერა.

ტეხასის შტატის ქალაქ კონვერსის მკვიდრმა 70 წლის ვერდა ბერდმა შეიტყო, რომ ის ნაშვილები იყო.

— ჩემს დედობილ ედვინა ვაგნერს არასოდეს უთქვამს, რომ თეთრკანიანი ბავშვი იშვილა, — აცხადებს ბერდი. სიმართლის გასაგებად მან თავისი ბიოლოგიური მშობლების მოძებნა გადაწყვიტა.

ვერდამ გაარკვია, რომ დაიბადა ღარიბ მრავალშვილიან ოჯახში, ხოლო მისი ნამდვილი სახელი ჯანეტ ბიგლი იყო. მისი დაბადებიდან მალევე მამამ ოჯახი მიატოვა, ხოლო დედამ მძიმე ტრავმა მიიღო და საარსებო საშუალების გარეშე დარჩა. ამის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალს ყველა ბავშვი ჩამოართვეს, მათ შორის ჯანეტიც.

ხუთი თვის გოგონა კანზასის შტატის ქალაქ ნიუტონის მკვიდრმა უშვილო შავკანიანების ოჯახმა იშვილა. მისი მშობლებისგან განსხვავებით, ისინი გაცილებით უზრუნველყოფილნი იყვნენ.

დედობილ-მამობილმა გოგონას სახელი შეუცვალა და ვერდა დაარქვეს. მართალია, ბავშვს მათზე გაცილებით ღია ფერის კანი ჰქონდა, ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. ყველა მას შავკანიან ბავშვად მიიჩნევდა.

ვერდა ბერდმა თავისი ბიოლოგიური დედის მოძებნა შეძლო. აღმოჩნდა, რომ ქალმა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ხუთიდან ოთხი შვილის დაბრუნება მოახერხა. ბერდმა სამი დის გაცნობა შეძლო, თუმცა მათთან ურთიერთობა ვერ აეწყო.

## ბავშვი უნიტაზში ჩამალულ კობრას გადაურჩა



სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიის მცხოვრებმა ქალმა ტუალეტში მოზამბიკური კობრა შენიშნა და ვიდეოზე გადაიღო.

ჯულიეტ როოსმა ქვეწარმავალი მაშინ შენიშნა, როდესაც თავისი ხუთი წლის გოგონა საზოგადოებრივ ტუალეტში შეიყვანა. გოგონას გველი არ დაუნახავს და უნიტაზზე დაჯდა.

— გველის თავი უნიტაზში მხოლოდ მას შემდეგ დავინახე, რაც ბავშვმა მოისაქმა, — განაცხადა ქალმა, — მთელ სხეულში სიცივემ დამიარა, მაგრამ არ მინდოდა, ბავშვი შემეშინებინა და ამიტომ ვუთხარი, რომ უკან არ მიეხედა.

როოსმა საშველად მეუღლეს, იოჰანს უხმო. მამაკაცს ეგონა, რომ საქმე ობობასთან ჰქონდა, მაგრამ, როდესაც კობრა შენიშნა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ფარდის საკიდისგან კაუჭისმაგვარი საგანი დაამზადა და შეეცადა, კობრა უნიტაზიდან ამოეთრია, თუმცა ქვეწარმავალს ვერაფერი მოუხერხა და ბოლოს თავი დაანება.

## ღარიბი ბავშვები მდიდარ ბავშვებთან მოედანზე სათამაშოდ არ შეუშვეს

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მობინადრეები აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ყველა ბავშვს არ შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა. როგორც გაირკვა, იქ მხოლოდ ელიტური ბინების მცხოვრებთა შვილები ახერხებენ თამაშს.

თავდაპირველად პროექტში აღნიშნული იყო, რომ კომპლექსის შიდა სათამაშო მოედნიან ეზოში შესვლა ყველას, მათ შორის გაცილებით იაფფასიანი ბინების მცხოვრებლებსაც შეეძლებოდათ. თუმცა მშენებელმა კომპანიამ ეზოში დააყენა ღობე და კარი კოდირებული საკეტით. მისი პაროლი კი მხოლოდ ძვირადღირებული ბინების მცხოვრებლებს აცნობეს.

— ჩემი შვილები სკოლიდან მეგობრებთან ერთად მოდიან და შემდეგ მოედნის კართან შორდებიან ერთმანეთს. ჩემი შვილი ფანჯრიდან უყურებს, როგორ თამაშობენ სხვა ბავშვები მოედანზე, — განაცხადა ერთ-ერთი ბინის მცხოვრებმა დანიელა რიმ. მისმა მეზობელმა კლაუდია ვასკესმა დაიჩივლა, რომ არ შეუძლია, აუხსნა ბავშვს, თუ რატომ არ შეიძლება მოედანზე მისი შესვლა.

ლონდონის ქალაქის საბჭოს წევრმა მეთიუ ბენეტმა აღნიშნულ სიტუაციას მიუღებელი უწოდა და განაცხადა, რომ მოედნის შემოღობვა შეთანხმებული არ ყოფილა, ხოლო დეველოპერმა, რომელიც პასუხისმგებელია საცხოვრებელი კომპლექსის ელიტურ ნაწილზე, თქვა, რომ არაფრის შეცვლას არ აპირებს, ვინაიდან სხვების იქ შეშვების შემთხვევაში მოედანსა და ბაღს ვერ შეინარჩუნებენ.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ირა, ნინო და ნოდარ გაბისონიები თანავუგრძნობთ ნიკა და ნოდარ სეთურიძეებს ღირსეული მამის, ცნობილი ექიმ-დასტაქრის, ბატონი

**ნოდარ სეთურიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ნინო ზაუტაშვილი დააჯილდოვეს



ჟურნალისტი და გადაცემა „რეალური სივრცის“ წამყვანი ნინო ზაუტაშვილი დააჯილდოვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ გადაცემა „რეალური სივრცის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

— „რეალური სივრცის“ წამყვანმა, ნინო ზაუტაშვილმა, მნიშვნელოვანი პრიზი მიიღო.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით ჩაატარა კონკურსი „ჟურნალისტები სოციალური ცვლილებებისთვის“.

კონკურსის მიზანი იყო, საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში გამოევლინა ის ჟურნალისტები, რომლებიც რეგულარულად და კომპეტენტურად აშუქებენ სამოქალაქო საზოგადოებას, მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, განვითარების შესაძლებლობებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას. ამასთანავე, თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ფასეულობებს, ადამიანის უფლებებს, მათ შორის უმცირესობათა უფლებებს, სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის ღირსების პატივისცემას, სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიას, თანასწორობასა და კანონის უზენაესობას, იცავენ ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტს.

საქართველოს მასშტაბით 300 საზოგადოებრივ ორგანიზაციას საქართველოს ყველა რეგიონში ჰქონდა შესაძლებლობა, მათი რეგიონისა და ცენტრალური მედიის თითო გამორჩეული წარმომადგენელი დაესახელებინა.

ცენტრალური მედიის ყველაზე ხშირად დასახელებული ჟურნალისტი „რეალური სივრცის“ წამყვანი ნინო ზაუტაშვილი გახდა.

## დუტა სხირტლაძე ახალ გადაცემას წაიყვანს




მსახიობი და არაერთი პოპულარული გადაცემის წამყვანი დუტა სხირტლაძე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ახალ გადაცემას წაიყვანს.

„უპასუხე საქართველოს“ — ასე ეწოდება გადაცემას, რომელიც სახალხო, შემეცნებით-გასართობი შოუა. მასში მონაწილეობს 2 წყვილი და ერთმანეთისა და მთელი საქართველოს პირისპირ შეეცდებიან, გამოცადო საკუთარი ცოდნა და ინტუიცია.

გადაცემაში გამარჯვებული გახდება ის, ვინც დასმულ შეკითხვებს სწორად უპასუხებს და 24.000 ლარის მფლობელი გახდება.

— აქ კითხვებს მთელი საქართველო სვამს! — ეს არის შოუს მთავარი გზავნილი. გადაცემაში კითხვის გაგზავნა შეუზღუდავია როგორც ასაკობრივად, ასევე — თემატურად. მსურველებს შეუძლიათ, გაგზავნონ საინტერესო, ჩამჭრელი ან, უბრალოდ, სახალისო კითხვები. გადაცემის მესვეურები თავად მივლენ მასთან და ჩაწერენ. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დასვას კითხვა და მოიგოს ფულადი ჯილდო.

გადაცემაში „უპასუხე საქართველოს“ თითოეული შეკითხვა მომგებიანია, რადგან ფულად ჯილდოს იგებს ან კითხვის ავტორი, ან მოპასუხე.

დუტა სხირტლაძის ახალი გადაცემა „იმედის“ ეთერში სულ მალე გამოჩნდება.

## ლალი ბადურაშვილი საავადმყოფოში მოხვდა



მსახიობი ლალი ბადურაშვილი შვილის, რეჟისორ ერეკლე ბადურაშვილის დაკრძალვის დღეს ცუდად გახდა და საავადმყოფოში მოხვდა.

დედისთვის უმძიმესი აღმოჩნდა შვილის დაკრძალვის დღე. მან გონება დაკარგა. გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ლალი ბადურაშვილი კლინიკაში გადაიყვანა.

ლალი ბადურაშვილს მაღალი ტემპერატურა და ორივე ფილტვის ანთება აქვს.

## რუსთაველის თეატრი საერთაშორისო ფესტივალზე მიემგზავრება




რუსთაველის თეატრი ადანის 21-ე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიემგზავრება. ადანის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 1998 წლიდან არის დაფუძნებული და 110 სხვადასხვა ქვეყანას აერთიანებს, როგორებიცაა საფრანგეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ინდოეთი, იაპონია, გერმანია, სერბეთი, რუსეთი, ავსტრალია, იტალია, აშშ, რუმინეთი, ეგვიპტე, შვეიცარია, დანია, ყირგიზეთი, ისრაელი, სლოვენია, პოლონეთი, საქართველო, კორეა, ბელგია, ჩინეთი, ირანი, ნიდერლანდები, ესპანეთი... ფესტივალმა 1998 წლიდან 490.800 მაყურებელს უმასპინძლა და თეატრის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. რუსთაველის თეატრი საერთაშორისო ფესტივალზე წარადგენს სპექტაკლს „იულიუს კეისარი“, რომლის რეჟისორიც რობერტ სტურუაა.

## ჯაბა კილაძე: „დასრულდეს ეს იდიოტური შეხედულება, რომ თუ შტოფს ჩაისხამ და ცხვარს შესწირავ, ეგაა, იქ ხარ და, თუ ეწევი, მოიდა დემონი!“



— დასრულდეს ეს იდიოტური შეხედულება, რომ თუ შტოფს ჩაისხამ და ცხვარს შესწირავ, ეგაა, იქ ხარ და, თუ ეწევი, მოიდა დემონი! — აცხადებს თავისუფალი თეატრის მსახიობი ჯაბა კილაძე.

— მორიგი უგუნური, არასწორი შეხედულების განმამტკიცებელი კანონი ორშაბათიდან ძალაშია! ხმამაღლა ვიტყვი, თუ ამერიკის, კანადის, გერმანიის, ჰოლანდიისა და რიგი ქვეყნის მედიკები ამ თემას აღარც კი განიხილავენ უარყოფით კონტექსტში, ამიხსენით, ქართველი მედიკები რითი, რა რესურსით ხართ მათზე კომპეტენტურები, რომ ამ უგუნურობას ხელს უწყობთ თქვენი სტატუსის გამოყენებით?! ეს არის იმ 70-წლიანი ესესესერის ტვინრეცხვის შედეგი და ის, რომ ბევრად ჭკვიანი ქვეყნების გამოცდილების გაგებაც არ გინდათ!

კიდევ ერთი და მთავარი: დასრულდეს ეს იდიოტური შეხედულება, რომ თუ შტოფს ჩაისხამ და ცხვარს შესწირავ, ეგაა, იქ ხარ და, თუ ეწევი, მოიდა დემონი! რელიგიურ-ეროვნული ღირებულებებით სპეკულირება დიდი ტყუილია იმიტომ, რომ შეიგნეთ თრობაო! თრობაო! ორივე არის თრობა, ანუ შენ დალიე, მე მოვწევ და ორივე კმაყოფილი ვართ! ნუ შეგვე.ით!

ჯერ იმ მანიაკმა თავისი 9-წლიანი ფსმით და ახლა თქვენ ამ ვითომ თან ჯიგრული ჰუმანური და თან ამოსაძირკვი მენტური აზროვნებით! ერთხელ და საბოლოოდ გეყოთ გამბედაობა, რომ დაუსვათ წერტილი ამ საგას!

2019-ია მარსზე დადის რობოტი... ორი თან!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.6956

ევრო — 3.0412

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5574

100 რუსული რუბლი — 4.1594

## ამინდის პროგნოზი 30 მარტისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




26 მარტიდან

იროდიონ ევდოშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




29 მარტიდან




ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა სალალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ქურდმა მოპარული გველი შარვალში დამალა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ როკვუდში ზოომაღაზიიდან სამეფო პითონი მოიპარეს.

ზოომაღაზიამ პითონს, სახელად პასტას, ახალი პატრონები მოუძებნა, თუმცა ქვეწარმავალი მანამდე გაუჩინარდა, სანამ მას პატრონს გადასცემდნენ. თავდაპირველად მაღაზიის თანამშრომლები ფიქრობდნენ, რომ გველმა გალიიდან თავის დაღწევა და გაქცევა შეძლო, თუმცა სათვალთვალო კამერების ჩანაწერის ნახვის შემდეგ გაირკვა, რომ ის მოიპარეს.

ბოროტმოქმედი აღმოჩნდა მამაკაცი, რომელიც გამყიდველებს გველების შესახებ კითხვებს უსვამდა და ამტკიცებდა, რომ ვირთხის ყიდვა სურდა. როგორც კი ქურდი უმეთვალყურეოდ დარჩა, 1,2 მეტრი სიგრძის გველი გალიიდან გამოიყვანა და შარვალში ჩაისვა, შემდეგ ექვს დოლარად ვირთხა იყიდა და მიიმალა.

პითონის ფასი 100 დოლარია. ქალაქის პოლიციის განყოფილებამ შემთხვევის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა და დამნაშავის იდენტიფიცირებაში დახმარება ითხოვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა, შენი ძროხა დღეში 30 ლიტრ რძეს როგორ იწველება?

–სულ უბრალოდ, შევდივარ ბოსელში და ალერსიანი ხმით ვეუბნები: „აბა, დღეს რა გვექნება, რძე თუ ძროხის ხორცი?“

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– სახლში კაცის საქმე არასოდეს გააკეთო.

– რატომ?

– ამასწინათ სახლში მე თვითონ დავაყენე კედელზე თარო და მერე სამი დღე ქმარს ვარწმუნებდი, რომ საყვარელი არ მყავს.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ნიანგმა კვერცხები დადო... ვინ იცის, რატომ?

– იმიტომ, რომ ბებერია და აღარ სჭირდება... – უპასუხა გიგიმ.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ლამარა, კაცები დაგდევენ?

– კი, დამდევენ.

– ეტყობა, ვერ გეწევიან...

●●●

კარზე აკაკუნებენ, კარს მამაკაცი აღებს, იქ კი სამი მამაკაცი დგას აირწინაღებსა და თავით ფეხებამდე ქიმიური დაცვის კოსტიუმებში გამოწყობილნი. ერთ-ერთი გაოგნებულ მასპინძელს ეკითხება:

– გუშინ თქვენ ჩააბარეთ ანალიზები?

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ბავშვობაში კომპიუტერი გქონდა?

– არა.

– დივიდი?

– არა!

– მობილური ტელეფონი?

– არა!

– დედა, დინოზავრები თუ გინახავს?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შიმშილობის საწინააღმდეგო „ტაბლეტები“ თუ არსებობს?

– როგორ არა, კატლეტები!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ბუფონმა პსჟ-სთან კონტრაქტი გაახანგრძლივა




ლეგენდარულმა იტალიელმა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა პსჟ-სთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და ის ამ სეზონის ბოლოს კარიერას არ დაასრულებს.

ბუფონის ხელფასი წელიწადში 8 მილიონი ევრო იქნება.

ბუფონი წლევანდელ სეზონში პსჟ-ს პირველი მეკარეა და მან რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ, რომელიც პსჟ-ს ძვირად დაუჯდა. მიუხედავად ამისა, მას მაინც ენდობიან პარიზულ გუნდში და ის მინიმუმ კიდევ ერთ სეზონს გაატარებს პსჟ-ში.

## პოგბა: „ძალიან მიხარია, რომ სოლსკიაერი ჩვენი სრულფასოვანი მწვრთნელი გახდა“

პოლ პოგბამ ოლე გუნარ სოლსკიაერზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და ნორვეგიელი სპეციალისტი ისევ შეაქო.

სოლსკიაერმა რამდენიმე დღის წინ მანჩესტერთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და პოგბას აზრით, ეს გუნდისთვის ძალიან კარგია:

– სოლსკიაერმა ჩვენი თავის რწმენა დაგვიბრუნა და მასთან ერთად გაცილებით უკეთეს ფეხბურთს ვთამაშობთ. მინდა, რომ ოლე დიდხანს იყოს ჩვენთან და კიდევ უფრო წინ წავიდეთ. მასთან მუშაობა სასიამოვნოა.

შეგახსენებთ რომ პოლ პოგბას ჟოზე მოურინიოსთან კონფლიქტი ჰქონდა.



## გონსალო იგუაინმა სანაკრებო კარიერა დაასრულა



ლონდონის ჩელსის არგენტინელმა ფორვარდმა გონსალო იგუაინმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ იგუაინმა ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. გონსალოს თქმით, ის უკვე იმ ასაკში აღარ არის, რომ დატვირთვები ძველებურად აიტანოს, ამიტომ მას ნაკრებში და გუნდში ერთად თამაში გაუჭირდება. არგენტინის ნაკრებში იგუაინი საკმაოდ შედეგიანი იყო, თუმცა ის ხშირად აფუჭებდა საგოლე მომენტებს, განსაკუთრებით გადამწყვეტ შეხვედრებაში და ამის გამო მას ბევრი აკრიტიკებდა.

## კონტე ჩელსისგან 9 მილიონს ითხოვს, ჩელსი უარზეა

ანტონიო კონტე ჩელსისგან 9 მილიონ ფუნტ სტერლინგს ითხოვს, რადგან ეს თანხა მას კონტრაქტის მიხედვით ეკუთვნის. ჩელსი თავის მხრივ დავობს იმაზე, რომ კონტემ კონტრაქტის პირობები დაარღვია, როდესაც ფეხბურთელებთან კონფლიქტი ჰქონდა და ამ კონფლიქტის გამო გუნდიდან წავიდა დიეგო კოსტა, რამაც ჩელსიზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მალე ეს საქმე სასამართლოში გადაინაცვლებს.

ჩელსიდან წასვლის შემდეგ კონტე ჯერჯერობით არც ერთ გუნდში არ დასაქმებულა.




მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სიგრძის საზომი ინგლისური ერთეული; 2. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა; 3. ფასიანი ქაღალდი; 4. შვედური ავტომობილი; 5. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. ქვის ხავსი; 15. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. ცნობილი შადრევანი რომში; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 13. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა; 14. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 17. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური; 18. განდიდების მანია; 19. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 20. მდინარე ყვარელში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

